



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



საინფორმაციო საზოგადოება და საქართველოს ევროკავშირში ასოცირების დღის წესრიგი

„ყველას აქვს ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით
თავისუფლად სარგებლობის უფლება.“

საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 17.4



თბილისი
2018



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



კვლევის ავტორი:
თინათინ ხიდაშელი

წინამდებარე კვლევა მოამზადა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა (CSRDG) პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს კონსორციუმში კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით. კონსორციუმში ასევე შედის ოთხი ქართული ორგანიზაცია: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC). პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს მიერ.

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“



Konrad
Adenauer
Stiftung



შინაარსი

რეზიუმე.....	5
შესავალი	6
ტერმინების განმარტება	10
ინდუსტრიული რევოლუციიდან საინფორმაციო რევოლუციამდე.....	13
ტექნოლოგიური ექსპანსიის ეტაპები	15
შრომის ბაზრის გამოწვევები თანამედროვე საინფორმაციო საზოგადოებაში	19
ინტერნეტის გავრცელების მდგომარეობა საქართველოში	21
პირველი საერთაშორისო დებატები და მაკბრაიდის ანგარიში „ბევრი ხმა, ერთი მსოფლიო“, ბიძგი საინფორმაციო ტექნოლოგიების გლობალიზაციისთვის	24
საინფორმაციო საზოგადოების გაეროს მსოფლიო სამიტი.....	27
საინფორმაციო საზოგადოების განვითარების ციკლი	29
პირველი ფაზა – ინფრასტრუქტურა და წვდომა.....	29
მეორე ფაზა – განათლება და განვითარება	30
მესამე ფაზა – საინფორმაციოს საზოგადოების სოციალური და კულტურული გამოწვევები	30
მეოთხე ფაზა – კლასიკური წარმომადგენლობითი დემოკრატიის კრიზისი.....	31
მეხუთე ფაზა – კიბერ უსაფრთხოება	32
საინფორმაციო საზოგადოების მოდელები	34
საქართველო და საინფორმაციო საზოგადოების სტრუქტურული გამოწვევები.....	37
სახელმწიფოს როლი და ძირითადი მოთხოვნები	37
რატომ „ციფრული საქართველო“	39
დასკვნა და რეკომენდაციები	43
სახელმწიფოს მიერ აუცილებლად განსახორციელებელი რეფორმებისა და ინიციატივების ამოცანები	43

პოლიტიკის სავალდებულო დოკუმენტები	43
კონსტიტუცია და კონსტიტუციური წესრიგი	44
ახალი საგადასახადო პოლიტიკა, როგორც პრაქტიკული მიდგომის მაგალითი	46
კულტურა და ბიონდუსტრია – ახალი ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი	46
შემოქმედებითი ეკონომიკა.....	47
 დანართი 1. „საინფორმაციო საზოგადოების“ ძირითადი მკვლევარები, თეორიები და მნიშვნელოვანი ლიტერატურა.....	48
 დანართი 2. ჟენევის WSIS 2003 წლის სამიტის (საქართველოს ოფიციალურად აღებული აქვს ვალდებულებები) დეკლარაციის ძირითადი მოთხოვნები	50
 Abstract	51

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომის მიზანია სრულფასოვანი წარმოდგენა შეგვიქმნას: საინფორმაციო საზოგადოების განვითარებაზე; ახალ გამოწვევებზე, რომელთან გამკლავება თანამედროვე გლობალური პოლიტიკური დღის წესრიგის ერთ-ერთი უმწვავესი საკითხია; საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებით შექმნილ ახალ სოციალურ დინამიკაზე; შემდეგი 30-50 წლის განმავლობაში გარდაუვალი კიდევ უფრო მეტი ტექნოლოგიური პროგრესისაგან მოსალოდნელ რისკებზე: საერთაშორისო დისკუსიაზე, რომელიც სხვადასხვა სამეცნიერო თუ პოლიტიკურ შეხვედრაზე მიმდინარეობს, როგორც სახელმწიფოთა ორმხრივი ურთიერთობების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში; სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ პრაქტიკასა და გამოცდილებაზე და სხვა.

ამავდროულად, ჩვენი ამოცანაა, მსოფლიოში მიმდინარე პროცესები და პროგრესის თანმდევი რისკები საქართველოს პრიზმაში დავინახოთ, რათა:

- ხელი შევუწყოთ საინფორმაციო საზოგადოების საქართველოსთვის ოპტიმალური მოდელის ძიებას;
- თვალი მივადევნოთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობას.

აქვე ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ნაშრომი არ წარმოადგენს საქართველოში საინფორმაციო საზოგადოების განვითარების პოლიტიკის დოკუმენტს. იგი ისტორიის, თანამედროვე გლობალური ტენდენციებისა და საქართველოში არსებული მდგომარეობის აღწერა/ანალიზის გზით გვაცნობს ასოცირების ხელშეკრულებით საქართველოს სახელმწიფოს მიერ აღებულ ახალ ვალდებულებებსა და საქართველოს მოქალაქეების მიერ შეძენილ ახალ უფლებებს, ამ ვალდებულებების შესრულებისა და შეძენილი უფლებების გამოყენების მდგომარეობას და, აგრეთვე, პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის აუცილებელ რეკომენდაციებს.

შესავალი

საინფორმაციო საზოგადოება არის პლატფორმა, რომელიც ინფორმაციის შექმნას, გავრცელებასა და მისით მანიპულირებას პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტად აქცევს. საინფორმაციო საზოგადოების მიზანია, შემოქმედებითი და ინოვაციური გზით, აგრეთვე, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ფარდობითი უპირატესობა მოიპოვოს გლობალურ პროცესებში.

„საინფორმაციო საზოგადოების“ ფენომენს ავტორების ერთი ნაწილი განმარტავს ახალი ტიპის ეკონომიკური წარმოების, მეორენი – ახალი თაობის სოციალური ურთიერთობების, ხოლო მესამენი – წარმოების ინოვაციური საშუალებების ფარგლებში. ფრანკ ვებსტერი¹ მკვლევარების უმრავლესობას აკრიტიკებს, ვინაიდან თვლის, რომ ტექნოლოგიური პროგრესის შემფასებელთა უმრავლესობა თეორიულ მსჯელობას შედეგებს უსადაგებს და არა გამომწვევ მიზეზებს, რის გამოც „იკარგება მთავარი, დაადგინონ თუ რა გზებით და რატომ ხდება ინფორმაცია სულ უფრო და უფრო ცენტრალური მდგენელი. იმდენად ცენტრალური, რომ სრულიად ახალი ტიპის საზოგადოებას აფუძნებს.“

ვებსტერის არგუმენტი მარტივია, იგი დარწმუნებულია რომ ყველას მიერ აღიარებული ტერმინი „საინფორმაციო საზოგადოება“ უკვე თავისთავად მეტყველებს კონცეფციის ხარისხობრივ, არსობრივ და არა მხოლოდ რაოდენობრივ მაჩვენებელზე. მისი აზრით, „საზოგადოება“ შეუძლებელია იყოს მხოლოდ ტექნოლოგიური მაჩვენებლების ერთობლიობა.²

„საინფორმაციო საზოგადოების“ ფენომენის კვლევას დიდი ისტორია აქვს. არსებობს უამრავი განმარტება, მიდგომა და თეორიული მიმდინარეობა (იხილეთ დანართი 1). საინფორმაციო საზოგადოების მკვლევრები აკადემიის საკმაოდ ფართო სპექტრის წარმომადგენლები არიან: საბუნებისმეტყველო მეცნიერებიდან, ინფორმატიკიდან, სოციოლოგები, ფილოსოფოსები, ეკონომისტები, გეოგრაფები და სხვა. თუმცა, მიუხედავად იმისა, თუ რომელი დარგიდან ან რომელი მიმდინარეობიდან არიან მეცნიერები, ყველა თანხმდება თანამედროვე მსოფლიოში „ინფორმაციის“ განსაკუთრებულ როლსა და დანიშნულებაზე. ამასობაში, მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი ხედვა საზოგადოების განვითარებისთვის „ინფორმაციის“ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ დანიშნულებასა და გავლენაზე. თუკი სხვადასხვა მიმდინარეობების ავტორების ნაშრომებს შევაჯერებთ, განსხვავება შესაძლებელია შემდეგ კონცეპტუალურ მახასიათებლებამდე დავიყვანოთ:

1 ფრანკ ვებსტერი, ბრიტანელი სოციოლოგი, თითქმის 40 წელია „საინფორმაციო საზოგადოების“ ფენომენს იკვლევს. მისი წიგნი „საინფორმაციო საზოგადოების თეორიები“, რომელიც 1995 წელს გამოიცა, ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური კრიტიკული ნაშრომია ამ სფეროში. წიგნის მეოთხე, უფრო ვრცელი ვერსია 2014 წელს გამოვიდა. ვებსტერმა 80-იანი წლების დასაწყისში კევინ რობინსთან ერთად გამოსცა პირველი წიგნი, რომელიც კომპიუტერული და საინფორმაციო ტექნოლოგიური განვითარების მსოფლიო ოპტიმიზმს აკრიტიკებდა. (Information Technology: A Luddite Analysis. Norwood, New Jersey: Ablex. 1986.) ავტორი ყურადღებას საინფორმაციო საზოგადოების განვითარების უარყოფით მხარეებზე ამახვილებს და განსაკუთრებით არის დაინტერესებული სამხედრო ასპექტებით. წიგნი საინტერესო კვლევას გვთავაზობს ომის თანამედროვე ბუნების შესახებ, სადაც საინფორმაციო ომი დისკუსიის ცენტრალური საკითხია.

2 იხილეთ, Frank Webster „theories of the Information Society“, forth edition, Routledge, 2014, p.10-11

- ✓ ტექნოლოგიური,
- ✓ ეკონომიკური,
- ✓ დასაქმების,
- ✓ სივრცითი,
- ✓ კულტურული ტრანზფორმაცია.

ეს მახასიათებლები ერთმანეთს ავსებს და არავითარ შემთხვევაში არ არიან ურთიერთგამომრიცხავი. მაგალითად, ადრეული (მეოცე საუკუნის 60-70-იანი წლების) თეორიები ფოკუსირებულია საინფორმაციო საზოგადოების განვითარების ტექნოლოგიურ ხასიათზე და ამტკიცებს, რომ ექსკლუზიურად, სწორედ ტექნოლოგიურმა პროგრესმა გამოიწვია საზოგადოების ტრანსფორმაცია და შესაბამისად, „საინფორმაციო ეპოქის“ დაწყება. იმ პერიოდისთვის ეს სრულიად ლოგიკური მიმდინარეობა იყო, ვინაიდან ახალი ტიპის საინფორმაციო ტექნოლოგიების შექმნის, საზოგადოებრივი საჭიროებებისა და მასობრივი მოხმარებისათვის ადაპტაციის ეპოქაში ანალიზი და დასკვნები გაკვირვების, აღფრთოვანების და თავად სიახლის კვლევის ემოციით იყო დაღდასმული. მოგვიანებით უფრო მეტი ინტერესი გაჩნდა სწორედ ამ გამოგონებების ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკურ-კულტურული და სივრცითი გამოყენების მიმართ. შესაბამისად, გაჩნდა ახალი განზომილებები. ეკონომიკური სარგებლის კვლევამ შრომითი ბაზრის სტრუქტურის ცვლილების გარდაუვალობა აჩვენა, ხოლო თავად ტექნოლოგიური პროცესის მეტმა განვითარებამ – სივრცითი კავშირის ზრდა. შესაბამისად, მეცნიერების უმრავლესობა ტექნოლოგიური თუ რაოდენობრივი მაჩვენებლებიდან სულ უფრო მეტად ხარისხობრივ მაჩვენებლებზე და ტრანსფორმაციის პროცესზე აკეთებს აქცენტს. აქედან გამომდინარე, დისკუსიაში მეტი პოლიტიკურ-სოციალურ-კულტურული ასპექტები გაჩნდა.

დღეს, მეცნიერების უმრავლესობა საინფორმაციო საზოგადოების კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელზე – ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე საუბრობს, სადაც სიმდიდრე იქმნება სწორედ ცოდნასა და ინოვაციაზე დაყრდნობით. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, დღევანდელი მიმდინარეობა მეოცე საუკუნის მიწურულს აღმოცენებული ეკონომიკური და დასაქმების ტრანსფორმაციის დისკუსიის გაგრძელებაა.

საინფორმაციო საზოგადოება არ არის მხოლოდ საინფორმაციო ქსელები ან ინტერნეტის ხარისხი. ზუსტად ისევე, როგორც ინდუსტრიული საზოგადოება არ იყო მხოლოდ ჩარხები და ტრაქტორები. საინფორმაციო საზოგადოების განვითარებისთვის ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად საზოგადოების სტრუქტურის, შრომითი ეთიკის, მართვისა და ადმინისტრირების ფუნდამენტური რეფორმა არის საჭირო.

- იცვლება კომპანიების ბიზნეს ოპერირების ფორმები;
- იცვლება კომპანიების ზრდის ტემპი;
- იცვლება კონკურენციის ფორმები და დინამიკა;
- იცვლება მთავრობის მიერ ბიზნესისთვის შეთავაზებული მომსახურების ფორმები და სახეები;
- იცვლება დაქირავებულების დამოკიდებულება დამქირავებლებთან.

სწორედ ამიტომ, ევროკავშირის სამუშაო დოკუმენტებში, რომელიც ასოცირების პროცესში მყოფ ხმელთაშუა ზღვის, ბალკანეთის და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს ეხება, საინფორმაციო საზოგადოების განვითარებისა და ევროკავშირის სტანდარტებთან თავსებადირეგულაციების შექმნის უმთავრეს პირობად, გამართული ინფრასტრუქტურის შექმნის პარალელურად, წარმატებული პოლიტიკური დიალოგი არის დასახელებული. ამგვარი, ორკომპონენტია მიდგომის უმთავრესი მიზეზი კი, როგორც შემდგომში

დავრწმუნდებით, გაეროს მსოფლიო სამიტების წარუმატებელი გამოცდილება იყო.

თავად ევროკავშირი საინფორმაციო საზოგადოების განვითარების გზაზე წვერი ქვეყნების პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში რამდენიმე უმნიშვნელოვანეს საკითხზე მუშაობს. ევროკომისიის განაცხადის შესაბამისად, პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში განხორციელებული სოციალურ-ეკონომიკური და ტექნიკური ანალიზის ამოცანაა „იპოვონ ყველაზე უფრო ეფექტური გზები ციფრული ტექნოლოგიების ევროპის მოქალაქეებისა და ბიზნესის საუკეთესო ინტერესების სამსახურში ჩასაყენებლად და იმავდროულად ხელი შეუწყონ მათ ათასობით ახალი სამუშაო ადგილის შექმნაში“.³ უფრო კონკრეტულად, ევროკავშირის მულტი-დისციპლინარული ჯგუფები ინტენსიურად მუშაობენ შემდეგ საკითხებზე:

- როგორ უზრუნველყონ საინფორმაციო ტექნოლოგიების მეტი ხელმისაწვდომობა;
- რა არის მთავარი მამოძრავებელი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელებული ინოვაციებისთვის, ასევე მათი შედეგები;
- მუდმივი მონიტორინგი ეკონომიკურ ზრდაზე, სამუშაო ადგილებსა და მომხმარებლების კმაყოფილების ინდექსზე, საინფორმაციო ტექნოლოგიების გავრცელებით გამოწვეული შედეგებზე;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების გავლენა დასაქმებაზე/დასაქმებულობაზე, კულტურულ მრავალფეროვნებასა და სოციალურ-ეკონომიკურ ჩართულობაზე;
- ციფრული ტექნოლოგიების ცოდნა, ახალი ინფორმაციის, ჩვევებისა და ცოდნის გავრცელების დინამიკა ევროპაში;
- დაბერების ტენდენციის მქონე საზოგადოებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების წახალისება, პროგრესის დადებითი შედეგების ყველა თაობისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

ტექნოლოგიური პროგრესით გამოწვეული შიში

საინფორმაციო ტექნოლოგიური რევოლუციის წინსვლის და მისი პროდუქტების მასობრივი გავრცელების კვალდაკვალ ბევრ ქვეყანაში გაჩნდა ერთგვარი შიში, რომ ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად შემდგომი 60-70 წლის მანძილზე მილიონობით სამუშაო ადგილი რობოტებით, ხოლო ადამიანის ინტელექტი ხელოვნური ინტელექტით ჩანაცვლდება. შესაბამისად, გამოცდილების, წლების მანძილზე დაგროვილი სიბრძნისა და ადამიანური კაპიტალის არავითარი საჭიროება აღარ იქნება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა 90-იანი წლების ცნობილი ამერიკელი მკვლევარის სტივენ ტალბოტის ნაშრომები და მისი ჩივილი „ადამიანების ინტერნეტდამოკიდებულების“ შესახებ.

პროფესორმა ტალბოტმა 2001 წელს დასვა საკითხი „ოდისევსის ტექნოლოგიიდან თანამედროვე ტექნოლოგიებამდე“ განვლილი გზის კვლევის აუცილებლობის შესახებ⁴. მისთვის ამგვარი ისტორიულ-მეცნიერული ექსკურსი უმნიშვნელოვანესია იმის საჩვენებლად, რომ კომპიუტერი, ინტერნეტი, ტექნოლოგია არ არსებობს ჩვენს გარეშე და ჩვენგან დამოუკიდებლად. ამასობაში, ოდისევსის მიერ გამოყენებული საშუალებებიდან დღემდე ბევრი არაფერი შეცვლილა. ნებისმიერ გამოგონებას ადამიანები ქმნიან იმ „სისუსტეების, მიკერძოების, შესაძლებლობების და სურვილების აქტუალიზაციისთვის, რომელიც ადამიანის ფსიქიკაშია დაბუდებული“ და თავად მართავენ. შესაბამისად,

3 მეტი ინფორმაცია იხილეთ, ბმულზე <https://ec.europa.eu/jrc/en/science-area/information-society>

4 Stephen L. Talbott, The Deceiving Virtues of Technology: From the cave of the Cyclops to Silicon Valley, The Nature Institute, November, 2001 at http://www.netfuture.org/2001/Nov1501_125.html

ობიექტურად შიშის საფუძველიც თითქოს არ გვაქვს. თუმცა, შიში, რომელზეც ზევით ვსაუბრობდით, ტალბოტის აზრით ლეგიტიმურია და იმით აიხსნება, რომ „როგორც ჩანს, აღარ გვაწუხებს გავლენა, რომელიც მანქანებმა მოიპოვეს ჩვენზე. ადამიანები ვაჩვენებთ მინიმალურ ან უფრო ხშირად, ნულოვან წინააღმდეგობას ჩვენს ყოველდღიურობაში მათი დომინირებული შემოჭრის გამო. ავირჩიეთ პასიური, ან უფრო ფატალისტური დამოკიდებულება ტექნოლოგიის მიმართ, რომელსაც დავემორჩილეთ და დღითიდღე ვზრდით დამოკიდებულების ხარისხს, რითიც საბოლოოდ დავკარგავთ თავისუფლებას“⁵.

2000 წელს „ბუნების ინსტიტუტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში პროფესორი ტალბოტი წერს „დღეს ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, განვასხვავოთ ჩვენი თავი მანქანებისგან. მაგალითად, მორიგ ჯერზე აღმოვაჩინოთ, რომ მთელი ცოდნა რომელიც კაცობრიობას აქვს ადამიანის ცოდნაა და ვერაფერს ვიპოვით ინჟინერიაში ამ იდეალთან მიახლოებულსაც კი, ის მხოლოდ ჩვენშია“⁶. ტალბოტი ანალოგიურ იდეას აწვითარებს თავის პრაქტიკულად ყველა ნაშრომში “მონაცემები და ინფორმაცია მხოლოდ პირველადი პროდუქტია სიბრძნისათვის. ორგანიზებული მონაცემები ქმნის ინფორმაციას, რომელიც თავისთავად მნიშვნელოვანი ცოდნაა, მისი დაკავშირება სხვა ცოდნასთან ქმნის ინტელექტს, ხოლო გამოცდილებას ნაზიარები ინტელექტი ქმნის სიბრძნეს. ჩვენ არ ვიღებთ სიბრძნეს ბაიტებიდან და ტერაბაიტებიდან, სიბრძნე მხოლოდ მაშინ ხდება ჩვენი საკუთარი, როდესაც ცოდნით შეიარაღებული შევეჭიდებით სამყაროს.”⁷

იმის მიუხედავად, ვეთანხმებით თუ არა ტალბოტისა თუ სხვა მეცნიერების, ისევე როგორც საერთაშორისო ფორუმებზე სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკური ლიდერების მიერ გამოთქმულ შიშებს, თავისთავად საინფორმაციო ტექნოლოგიებთან, რობოტებთან თუ ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებისას მნიშვნელოვანია გვახსოვდეს სწორედ პროფესორ სტივენ ტალბოტისეული შედახილი, რომ თუკი მოვახერხებთ გავთავისუფლდეთ ფატალისტური დამოკიდებულებისგან და გვახსოვდეს, რომ სიბრძნე ბაიტებით და მეგაბაიტებით არც იზომება და არც წარმოიშობა, მაშინვე გაგვახსენდება, რომ კომპიუტერიც და რობოტიც ადამიანმა შექმნა, სწორედ ადამიანის ცხოვრების გამარტივების, ყოველდღიურობასთან უფრო მარტივად გამკლავების, შრომის შემსუბუქების და სხვა მსგავსი კეთილშობილური მიზნებისთვის. შესაბამისად, საინფორმაციო საზოგადოებაც უფრო უკეთეს, თავისუფალ და მეტ კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სახელმწიფოს ნიშნავს.

5 Stephen L. Talbott, Computers, the Internet, and the Abdication of Consciousness, The Nature Institute, at <http://natureinstitute.org/txt/st/jung.htm>

6 Stephen L. Talbott, Computers, the Internet, and the Abdication of Consciousness, The Nature Institute, at <http://natureinstitute.org/txt/st/jung.htm>

7 Stephen L. Talbott, The Future Does Not Compute, O’ Reilly 1995; p. 200

ტერმინების განმარტება⁸

საინფორმაციო საზოგადოება

ტერმინი საინფორმაციო საზოგადოება⁹ აღწერს ეკონომიკურ სისტემას და საზოგადოების ფორმას, რომელზეც გავლენას ახდენს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სადაც ინფორმაციის მოპოვება, შენახვა, დამუშავება, გავრცელება გამოყენება და ცოდნა არსებით როლს თამაშობს ყველა სფეროში.

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT)

ტერმინი გამოიყენება ელექტრონული მონაცემების დამუშავებისთვის, ელექტრონული მედია-მატარებლების საშუალებით კომუნიკაციის მხარდაჭერისთვის საჭირო ტექნიკური პროცესისა და მექანიზმების აღწერისთვის.

ტექნოლოგიები

ელექტრონული კომპიუტერები, კომპიუტერული პროგრამები და სხვა საკომუნიკაციო პროდუქტები – გამოიყენება ინფორმაციის კონვერტირებისთვის, შენახვისთვის, დაცვისთვის, დამუშავებისთვის, გადაცემისა და მოძიებისათვის.

ინფორმაციული ტექნოლოგია (IT)

ტერმინი, რომელიც გამოიყენება ყველა ტექნიკური პროცესისა და ელექტრონული მონაცემების ავტომატური დამუშავების მოწყობილობისთვის. ინფორმაციული ტექნოლოგიები (სისტემები) – ინფორმაციული ტექნოლოგიების (სისტემების) მართვა, უზრუნველყოფა ან შემუშავება, რაც ხორციელდება კომპიუტერული, პროგრამული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ერთობლივად გამოყენებით;

ხელმისაწვდომობა

ტერმინი „ხელმისაწვდომობა“ ჩვენი ნაშრომის მიზნებისთვის გულისხმობს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სრულ, მარტივ წვდომას და ინტერნეტ-სერვისის შეთავაზებებით სარგებლობას.

ხელმისაწვდომობის მიზანია, აღმოფხვრას ტექნიკური, ვიზუალური და სხვა ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის წვდომას, რათა თავიდან აირიდოს ადამიანთა ჯგუფების რაიმე მიზეზით გარიყვა. ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, ყველა ადამიანი უნდა წავახალისოთ, რათა მათ ისარგებლონ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით და ინტერნეტ-შეთავაზებებით, მათთან დაკავშირებული უპირატესობებით და გამარტივებული მომსახურებებით. ხელმისაწვდომი ინტერნეტ-გვერდების შექმნისთვის საჭირო მნიშვნელოვანი დირექტივა შემუშავებული და გამოცემულია „ვებ-ხელმისაწვდომობის ინიციატივის“ (WAI) მიერ.

ციფრული უთანასწორობა (Digital Divide)

ტერმინი „ციფრული უთანასწორობა“ აღწერს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების წვდომის არათანაბარ პირობებს სახელმწიფოებს შორის, ან ერთი

⁸ მომზადებულია საქართველოს მთავრობის ოფიციალური დოკუმენტის „Twinning: ციფრული საქართველო: ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018“ მიხედვით. იხილეთ ბმულზე http://www.dea.gov.ge/uploads/eGeorgia%20Strategy%20FINAL_GEO.pdf

⁹ შენიშვნა: „ციფრული საქართველო“ საინფორმაციო საზოგადოების ნაცვლად, იყენებს ტერმინს – ინფორმაციული საზოგადოება.

სახელმწიფოს შიგნით მოსახლეობის სხვადასხვა ფენას შორის.

ტერმინი აღწერს ვითარებას, როდესაც არსებობენ ადამიანები, სოციალური ჯგუფები, რეგიონები ან სახელმწიფოები, რომლებსაც არ აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რადგან მათთვის არ არის ხელმისაწვდომი ასეთი ტექნოლოგიები. ამგვარი უთანასწორობის გამო ისინი ვერ სარგებლობენ აღნიშნული ტექნოლოგიების უპირატესობებით. შესაბამისად, იქმნება განვითარების უთანასწორო გარემო.

ევროპული ურთიერთთავსებადობის სტრატეგია (EIS)

ევროპული ურთიერთთავსებადობის სტრატეგია უზრუნველყოფს ორგანიზაციული, ფინანსური და ოპერაციული ჩარჩოების განსაზღვრას (მმართველობის ჩათვლით), ისევე, როგორც ინფორმაციის გაცვლას ევროპის საჯარო ადმინისტრაციებს შორის. აღნიშნული ჩარჩოები საჭიროა მიმდინარე მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად ტრანს-სასაზღვრო და ტრანს-სექტორული თავსებადობის კუთხით.

ურთიერთთავსებადობის შეთანხმებები

ურთიერთთავსებადობის წერილობითი შეთანხმება არის კონკრეტული და სავალდებულო ხასიათის მქონე დოკუმენტი, რომელშიც ზუსტად არის განსაზღვრული ორივე მხარის ვალდებულებები, რომლებიც თანამშრომლობენ ურთიერთთავსებადობის მიღწევისთვის. ურთიერთთავსებადობის ჩარჩო შეთანხმებული მიდგომაა იმ სუბიექტებს შორის, რომელთაც სურთ ერთად მუშაობა ერთიანი ხარისხისა და სტანდარტის სერვისების მიწოდების მიმართულებით. ის კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრავს ისეთი საერთო ელემენტების კომპლექტს, როგორიცაა: ლექსიკა, კონცეფცია, პრინციპები, პოლიტიკა, დირექტივები, რეკომენდაციები, სტანდარტები, სპეციფიკაციები და პრაქტიკა.

პლატფორმები

ელექტრონული დემოკრატია

ელექტრონული დემოკრატია მოიცავს დემოკრატიული კომუნიკაციისა და ჩართულობის სტრუქტურის გაუმჯობესების სხვადასხვა მიდგომას, ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიის გამოყენებით. ელექტრონული ხმის მიცემა და ელექტრონული ჩართულობა წარმოადგენს ელექტრონული დემოკრატიის ნაწილს.

ელექტრონული ჩართულობა

ელექტრონული ჩართულობა ანვითარებს და ნერგავს გადაწყვეტილებების მიღებასა და პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის ახალ ფორმებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით. ელექტრონული ჩართულობა ხელს უწყობს პირდაპირ კომუნიკაციას და დისკუსიებს საჯარო მოხელეებს, არჩეულ წარმომადგენლებს, პოლიტიკოსებს, მოქალაქეებსა და მმართველობას შორის. ელექტრონული სისტემის დახმარებით, ელექტრონული ჩართულობა გვთავაზობს მონაწილეობის მიღებას აზრის ჩამოყალიბების პროცესში, გადაწყვეტილების მიღებამდე. მისი მიზანია, გააუმჯობესოს საზოგადოების რეაგირების უნარი და მიაღწიოს მოქალაქეების კმაყოფილების ზრდას.

ელექტრონული მმართველობა

საჯარო მმართველობის განხორციელება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

ელექტრონული მმართველობა გულისხმობს ბიზნეს-პროცესების გამარტივებას ტრანზაქციების მართვისა და საჯარო ადმინისტრირების კუთხით, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. ასევე, იმინსტრუმენტებისა და სისტემების გამოყენებას, რომლებიც ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით (ICT), მოქალაქეებისა და ბიზნესის უკეთ მომსახურების უზრუნველსაყოფად.

ელექტრონული ბიზნესი

ბიზნეს-პროცესების ელექტრონული ტრანზაქციების ყველა ფორმა ინფორმაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით. ე-ბიზნესის პლატფორმის შემადგენელია ე-ვაჭრობა.

ელექტრონული სწავლება

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით სწავლებისა და სწავლის ყველა ფორმა. ელექტრონული სწავლება ინტერაქტიული, მულტიმედიაზე დაფუძნებული, კოოპერატიული და ინდივიდუალური სწავლის საშუალებას გვამძლევს, სივრცისა და დროის შეზღუდვის გარეშე.

ელექტრონული გადახდები

„ელექტრონული გადახდები“ საერთო ტერმინია სისტემებისა და პროცესებისთვის და გულისხმობს გადახდისათვის საჭირო მონაცემების გადაცემას ელექტრონული ქსელის მეშვეობით (ინტერნეტი, უნივერსალური მობილური სატელეკომუნიკაციო სისტემა და ა.შ.). ეს პროცესები უზრუნველყოფს უსაფრთხო ანგარიშსწორებასა და გადახდებს მომხმარებლებისა და მომწოდებლებისათვის.

ელექტრონული შესყიდვები

ელექტრონული შესყიდვები არის ორგანიზაციის მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვის პროცესების ტრანზაქცია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით. ელექტრონული შესყიდვების საშუალებით შეკვეთის პროცესი ოპტიმიზებულია, ხარჯები – შემცირებული და ხარისხი – გაუმჯობესებული.

ელექტრონული ხელმოწერა

1999/93/EC დირექტივების თანახმად, ელექტრონული ხელმოწერა ნიშნავს მონაცემების ელექტრონულ ფორმას, რომელიც მიმაგრებულია ან ლოგიკურად ასოცირდება სხვა ელექტრონულ მონაცემებთან და წარმოადგენს ავთენტურობის დადგენის მეთოდს.

ინდუსტრიული რევოლუციიდან საინფორმაციო რევოლუციამდე

1999 წელს ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის ანგარიშში ერთ-მნიშვნელოვანი განაცხადი გაკეთდა ახალი ტექნოლოგიური რევოლუციის დასაწყისის შესახებ: „მსოფლიო ახალი ინდუსტრიული რევოლუციის ზღვარზეა, რომელიც ისეთივე მნიშვნელოვანი იქნება, როგორც ის, რომელმაც ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ყველაზე მეტი ეკონომიკური ზრდა და სიმდიდრე მოიტანა. რევოლუცია, რომელსაც ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა მიმართულებაზე ისეთივე შორს მიმავალი შედეგები და გავლენა ექნება. ეს იქნება გლობალური ხასიათის რევოლუცია და ტელეკომუნიკაციები ამ რევოლუციის ეპიცენტრშია“. (ITU, 1999; 127)

ITU-ს ამ განცხადებიდან 20 წლის შემდეგ საინფორმაციო საზოგადოების პლატფორმა უკვე თამამად შეგვიძლია შევადაროთ აგრარულ ან ინდუსტრიულ საზოგადოებას, დავუპირისპიროთ მათ, ან გავანალიზოთ სწორედ მათთან კონტრასტით. საინფორმაციო საზოგადოება ინდუსტრიული საზოგადოების პირმშოა, იმ განსხვავებით, რომ ტრაქტორების ან ჩარხების ნაცვლად საინფორმაციო საზოგადოების ინსტრუმენტები კომპიუტერი, ტელეკომუნიკაციები, გამჭვირვალობა და ცოდნაა.

ინდუსტრიულ და საინფორმაციო საზოგადოებას შორის განსხვავება მხოლოდ გამოყენებადი ინსტრუმენტების სხვაობით არ განისაზღვრება. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და რევოლუციურია სხვაობა დასაქმების, პროდუქტიულობის, წარმოების

ტემპისა და სამუშაო ეთიკის თვალსაზრისით. ინდუსტრიულ საზოგადოებაში შრომის დიდი ნაწილი რუტინული ვალდებულებების შესრულებაზე მოდიოდა, სადაც შრომის ნაყოფიერება ძირითადად დახარჯული დროის პროპორციული იყო. დღემდე, დამკვიდრებული შრომის ეთიკის მიხედვით, შრომა შესასრულებელი ვალდებულებების ჯამს შეადგენს და სწორედ ამგვარი მაჩვენებლებით ვადგენთ და ვაღწევთ უკეთეს შედეგს – გვაწინაურებენ, მეტ შემოსავალს ვიღებთ და სხვა. საინფორმაციო საზოგადოებაში შრომა ძირითადად შემოქმედებითი პროცესია, ხოლო საუკეთესო შედეგი სიღრმისეული ცოდნის, თავისუფლებისა და საკეთებლისადმი ემოციური კავშირის ერთობლიობით მიიღწევა. ინდუსტრიულმა ეკონომიკამ დახარჯულ დროზე ორიენტირებული მენეჯმენტის კულტურა დაამკვიდრა, მაშინ როდესაც ცოდნაზე და ინოვაციაზე დაფუძნებული ეკონომიკის მენეჯმენტი შედეგებით და სიახლის მასშტაბით იზომება.

პოსტ-ინდუსტრიული საზოგადოების ძირითადი მახასიათებლებია:

- ინფორმაციაზე, ანუ ცოდნაზე დაფუძნებული შრომის დომინანტი;
- მომსახურების სექტორის განვითარება და გაძლიერება;
- სოფლის მეურნეობაზე დაფუძნებული ეკონომიკის დაღმასვლა;
- მრეწველობაში ფიზიკური შრომის ჩანაცვლება.

საინფორმაციო საზოგადოებაზე მსჯელობისას, ხშირად ერთმანეთისგან ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და კულტურულ ხედვებს განასხვავებენ. თუმცა, იმის მიუხედავად, თუ რომელი მეცნიერის ნაშრომს ვკითხულობთ, უმთავრესი აქცენტი მუდმივად ტრანსფორმაციაზეა, რომელსაც დღევანდელი მსოფლიო განიცდის, რაც ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა დანიელ ბელმა შემდეგნაირად განმარტა: „ჩვენ ვაკვირდებით თეთრსაყელიანი მუშახელის აღზევებას, ლურჯსაყელიანთა დაღმასვლის ფონზე“.¹⁰

10 Bell, Daniel. 1999. The Coming of Post-Industrial Society. New York: Basic Books.

შესაბამისად, ინფორმაციისა და ცოდნის მიღება-გავრცელების ტექნოლოგიურმა რევოლუციამ არსებითად შეცვალა ჩვენი ყოველდღიურობა: თუ როგორ ვცხოვრობთ, როგორ ვმუშაობთ, როგორ ვსწავლობთ ან ვასწავლით ჩვენს შვილებს, როგორ ვერთობით. შეცვალა საფრთხეების მასშტაბი და ეფექტურობა. შესაბამისად, არსებითად შეცვალა ადამიანებს, ორგანიზაციებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის ფორმები და ინტენსივობა. ასევე შეცვალა საზღვრების, უსაფრთხოების, მანძილის, დროის, ტემპის აღქმა, ფუნქცია და მასშტაბი. ტექნოლოგიურმა რევოლუციამ სამყარო ერთ დიდ გლობალურ საინფორმაციო საზოგადოებად, ანუ ერთ დიდ „ციფრულ სოფლად“ აქცია.

ბუნებრივია, ყველა ქვეყანა თავად აკეთებს არჩევანს გახდეს „ციფრული სოფლის“ ბინადარი, თუ დარჩეს „დიადი წარსულის“ მძევალი. ინდუსტრიული რევოლუციიდან საუკუნეების შემდეგაც, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, არცთუ იშვიათად შევხვდებით გუთანშებმულ ხარებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ტრაქტორებისა და კომბაინების ნაცვლად. ამგვარი სავარგულების პროდუქტიულობა და მის გარშემო დასახლებული ადამიანების კეთილდღეობის ხარისხიც ზუსტად ტრაქტორსა და ხარშებმულ გუთანს შორის ტექნოლოგიური სხვაობის პროპორციულია.

დასკვნის გამოტანა არ არის რთული. რაც უფრო სწრაფად მოახერხებს ხელისუფლება და საზოგადოება გლობალური ცვლილების და პროგრესისთვის ფეხის აწყობას, მით უფრო მაღალია პრობლემებისა და გართულებების თავიდან აცილების შანსი. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიური რევოლუციის ტალღა, ისევე, როგორც ყველა მისი წინამორბედი, ნელა მაგრამ გარდაუვალად გახდება ჩვენი ყოველდღიურობა. ეს არის პროგრესი, რომელსაც ჩარჩოებს ვერ დაუდგენ და საზღვრებით ვერ ჩაკეტავ. შესაბამისად, განვითარების შიში და შეკავებისთვის გადადგმული ყოველი ნაბიჯი ფუჭად დახარჯული რესურსი და ენერგიაა, ხოლო წინმსწრები რეფორმა კი – მომავალი სოციალური კონფლიქტის თავიდან აცილების შესაძლებლობა.


ტექნოლოგიური ექსპანსიის ეტაპები

ტექნოლოგიური ექსპანსიის პირველი მძლავრი ტალღა სამი მთავარი კომპონენტით შემოვიდა ჩვენს რეალობაში და დღეისათვის, უკვე მტკიცედ ფეხგადგმულია, გლობალური დაფარვა აქვს და სრულფასოვნად შერწყმულია სოციალურ და კულტურულ გარემოსთან. ესენია:

1. ელექტრიფიკაცია,
2. სატელეფონო კავშირი,
3. ტელევიზია.

მეორე ეტაპზე სხვა სამი კომპონენტით შეგვიძლია წარმოვადგინოთ, რომლებიც დღეს ასევე ფართო გავრცელებისა და მოხმარების ინსტრუმენტებია, თუმცა გეოგრაფიული შეზღუდვები ჯერ კიდევ სახეზეა. ესენია:

1. პერსონალური კომპიუტერები,
2. მობილური ტელეფონები,
3. ინტერნეტი.



კიდევ ერთი მძლავრი, სამკომპონენტო ეტაპი, რომელიც კაცობრიობამ უნდა გამოსცადოს, არანაკლები გამოწვევის შემცველია, ვიდრე 1895 წლის დეკემბერში პარიზის „გრან კაფეს“ ინდურ სალონში ძმები ლუმიერების მიერ მოწყობილი პირველი კინოჩვენება.¹¹

ესენია:

1. რობოტები,
2. ხელოვნური ინტელექტი,
3. ბიოსამედიცინო ინჟინერია.


თუკი ტექნოლოგიური განვითარების პროცესის ადრეულ ეტაპებს გავიხსენებთ, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ მსგავსი ტიპის რევოლუციური სიახლის საზოგადოებრივ სიკეთედ ქცევას საშუალოდ 50-70 წელი დასჭირდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ მასობრივ რობოტიზაციამდე, ყველაზე პესიმისტური გათვლებითაც კი, სულ რაღაც ნახევარი საუკუნე გვაშორებს.

11 „მუშები ლუმიერების ქარხანას ტოვებენ“ პირველი ფილმია, რომელიც კაცობრიობამ იხილა. ეს უკანასკნელი სულ 46 წამს გრძელდება და ძმები ლუმიერების ლიონის ფაბრიკის ჭიშკართან არის გადაღებული. შემორჩენილია ფილმის სამი ვერსია. მაშინდელი პრესა ფილმის დასახიათებისას, ზოგან მხოლოდ ძაღლს და ველოსიპედს აღწერენ, ზოგან მხოლოდ ცხენებსა და ორთვალას. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ძმებმა რამდენიმე „დუბლი“ გადაიღეს. ფილმი გადაიღეს 1895 წლის 19 მარტს.

მობილური ტელეფონები 1943 წელს გამოიგონეს, თუმცა ბაზარზე მხოლოდ 70-იან წლებში¹² გამოჩნდა, ვინაიდან მოსახმარად მძიმე და იმავდროულად, ძვირადღირებული პროდუქტი იყო. მობილური ტელეფონების მასობრივ გავრცელებას დამატებით დაახლოებით 20 წელი დასჭირდა და მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან ის სამომხმარებლო ბაზარზე გამოჩნდა. გამოგონებიდან სულ რაღაც ნახევარი საუკუნის შემდეგ მობილური ტელეფონი ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.

ანალოგიურად შეგვიძლია გავიხსენოთ კომპიუტერების გამოგონებისა და მასობრივი გამოყენების ინსტრუმენტად ქცევის ისტორიაც. პირველი კომპიუტერები 1931 და 1936 (უკვე ციფრული ვერსია) წლებში ჩნდება. გამოყენების დაწყებისთანავე, ნათლად გამოჩნდა მათი სარგებლიანობა და უპირატესობა ყველა მანამდე არსებულ პროდუქტთან შედარებით, თუმცა თითქმის 40 წლის მანძილზე ეს უკანასკნელი ადამიანების ძალიან ვიწრო წრის საკუთრებასა და სარგებლობაში იყო (მობილური ტელეფონების მსგავსად, მისი მასიურობის და მაღალი ფასის გამო).

1977 წელს, სტივ ჯობსის მიერ Apple 2 მოდელის შექმნის კვალდაკვალ დაიწყო პერსონალური კომპიუტერების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა¹³ და მობილური ტელეფონების მსგავსად, დაახლოებით 20 წლის შემდეგ, ტელევიზორებთან და ტელეფონებთან ერთად რიგითი მოქალაქეების სამომხმარებლო კალათის შემადგენელი ნაწილი გახდა.



მიუხედავად კომპიუტერული ტექნოლოგიების ფართო გავრცელების, მათი ფორმალისა და შესაძლებლობების დივერსიფიკაციისა, დღეს სრულიად ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს პროცესი დასრულებული არ არის. პირველ რიგში, კომპანიები ბოლო 20 წლის მანძილზე პრაქტიკულად უწყვეტ რეჟიმში სიახლეებს გვთავაზობენ. თუკი 80-იან წლებში ეს სიახლეები ძირითადად ფორმისა და ზომის ადამიანის მოთხოვნების შესაბამის ადაპტაციას შეეხებოდა, დღეს ყოველი მორიგი მოდელი პრაქტიკულად დამოუკიდებელი თვითმყოფადი ინსტრუმენტია. სწორედ ამ გზაზე უზარმაზარი, ოთახის ზომის კომპიუტერებიდან მივიღეთ ჯერ პერსონალური კომპიუტერები, შემდეგ ტაბლეთები, მობილურები, ჭკვიანი ტელეფონები, მაჯის საათსა და მზის სათვალის ჩარჩოში დატეული კომპიუტერული მოწყობილობები და სხვა.

მეორე მხრივ, მიუხედავად კომპიუტერული ტექნოლოგიების გავრცელების პროცესის ამგვარი განვითარებისა, ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ამ სიკეთის


12 ზუსტად 45 წლის წინ, 1973 წლის 4 აპრილს ქალაქ ნიუ-იორკში, სასტუმრო ჰილტონიდან მოტოროლას მეცნიერმა მარტინ კუპერმა, პირველი მობილური სატელეფონო ზარი განახორციელა თავის კონკურენტთან ჯოელ ანჯელთან, რომელიც კომპანია ბელის ლაბორატორიაში ასევე მობილური სატელეფონო კავშირის ტექნოლოგიაზე მუშაობდა. იხილეთ ბმულზე <http://www.guinnessworldrecords.com/news/60at60/2015/8/1973-first-mobile-phone-call-392969>

13 რა მოხდა 10 ივნისს, Apple 2-ის ისტორია იხილეთ ბმულზე <http://www.computerhistory.org/tdih/June/10/>

გლობალური სარგებლობა თანაზომადია. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში კომპიუტერებით ან მობილური ტელეფონებით მოსარგებლეთა რიცხვი უკიდურესად მცირე, ან ზოგიერთ შემთხვევებში არარსებულა. თუმცა, თუკი ისტორიაში რამდენიმე ათეული წლით უკან გადავინაცვლებთ და ტელევიზორის გაცნობა-გავრცელების ისტორიას გავიხსენებთ „აღმოვაჩენთ“, რომ მიუხედავად პრობლემებისა და უკიდურესად ნელი პროცესისა, ტელევიზორის გამოგონებიდან ერთი საუკუნის თავზე, 2016 წლის მონაცემებით, მსოფლიოს მოსახლეობის 90 პროცენტი უკვე სარგებლობს ტელევიზორით და პრაქტიკულად 100 პროცენტს აქვს წვდომა მასზე. ქვემოთ წარმოდგენილ გრაფიკზე მოცემულია მონაცემები საქართველოში ტელევიზორების გავრცელების შესახებ.¹⁴ როგორც მოსალოდნელი იყო 2013-2014 წლებში ტელევიზორთან წვდომის მაჩვენებელი საქართველოში თითქმის 100 პროცენტს უტოლდებოდა. ვფიქრობ, სამართლიანი და ლოგიკური იქნება, თუკი ამ მაგალითს გამოვიყენებთ პერსონალური კომპიუტერებისა და მობილური ტელეფონების, ისევე, როგორც ინტერნეტის გავრცელების ანალოგიისთვის და ვივარაუდებთ, რომ ამ შემთხვევაშიც ისტორია განმეორდება.

რისთვის დაგვჭირდა ეს ისტორიული ექსკურსი? პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ტექნოლოგიური მიღწევების გავრცელების მასშტაბის, ტემპისა და გეოგრაფიული დაფარვის დასანახავად, რაც თანამედროვეობის გამოწვევებთან გამკლავების სტრატეგიული ხედვისა და გეგმების შემუშავებისთვის უმნიშვნელოვანესია. მეორე მხრივ კი, იმის სადემონსტრაციოდ, რომ, რადგან დღეს ქალაქის ქუჩებში ჩვენს გვერდით რობოტები არ სეირნობენ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ შემდეგი 50 წლის მანძილზე ამგვარი მოვლენები ჩვენი ცხოვრების ჩვეულებრივი ამბავი არ გახდება. დარწმუნებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დღევანდელი სამუშაო ადგილების უდიდესი ნაწილის რობოტიზაციის პროცესი უკვე არსებული შესაძლებლობების სახელმწიფოების ან კერძო კომპანიების მიერ უტილიზაციის ტემპზეა დამოკიდებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ დროის ამბავია. ჩემს ვარაუდს კიდევ უფრო ამყარებს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში უკვე დაწყებული, ადამიანური კაპიტალის კომპიუტერული ტექნოლოგიებით ჩანაცვლების პროცესი.

2016 წელს სინგაპურში მოქალაქეებს უკვე მიეცათ საშუალება ტაქსის გამოძახებისას აირჩიონ მანქანის მომსახურება მძღოლით სურთ, თუ მის გარეშე. კომპანია „Google“-მა, იმავე 2016 წელს, სწორედ რობოავტომობილებით მომსახურების სპეციალური ორგანიზაცია დაარსა (Waymo), რომელმაც 2017 წელს კრაისლერთან თანამშრომლობით ფენიქსში (არიზონას შტატი) 500-მდე რობოვენი გამოცადა.



¹⁴ მონაცემები იხილეთ საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ანალიტიკურ პორტალზე, ბმულზე <https://analytics.gncc.ge/ka/statistics/?c=externalresources&f=geostat&exp=byhh&sid=492385>

ანალოგიურ საცდელ პროგრამას ახორციელებს „General Motors“ სან-ფრანცისკოში და „Uber“ პიტსბურგში.¹⁵

2017 წელი განსაკუთრებით პროდუქტიული იყო ამ თვალსაზრისით. რობოტაქსებით მომსახურების ტესტირება ამერიკის ბევრ სხვა ქალაქშიც განხორციელდა და კიდევ უფრო მეტი გეგმის შესახებ განცხადდა სხვადასხვა კომპანიებისა თუ სახელმწიფოების მხრიდან. მათ შორის განსაკუთრებით ამბიციურია იაპონიის გეგმები, იაპონიაში 2020 წლის ოლიმპიური თამაშების მთლიანად, სწორედ ამგვარი ავტომობილებით მომსახურების შესახებ¹⁶.

2018 წლის დასაწყისისთვის პრაქტიკულად აღარ არსებობს დიდი ან საშუალო ავტომობილების მწარმოებელი კომპანია, რომელსაც რობოავტომობილების სხვადასხვა მოდელის მასობრივი წარმოებისა და უახლოესი 2-3 წლის მანძილზე მათი ბაზარზე გამოშვების განაცხადი არ აქვს გაკეთებული.¹⁷

15 უბერის, ჯენერალ მოტორსის და სხვა კომპანიების მიერ რობოტაქსების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მრავალ ინტერნეტგვერდზე. მათ შორის იხილეთ ბმულზე, <https://www.fastcompany.com/40514649/ubers-robo-air-taxi-or-at-least-part-of-it-debuts-at-ces> , ასევე, <https://www.gearbrain.com/ly-ft-autonomous-raid-hailing-trial-2515576235.html>

16 ინფორმაცია იხილეთ ბმულზე, Japan is building a „RobotTaxi“ service, with thousands planned for the 2020 Olympics, at <https://qz.com/538758/japan-is-building-a-robot-taxi-service-with-thousands-planned-for-the-2020-olympics/>

17 Renault's ez-gorobot taxi is the most socially responsible concept in Geneva at, <https://www.theverge.com/2018/3/8/17097016/renault-ez-go-robot-taxi-geneva-motor-show-2018>, ასევე, GM says it will launch a robot taxi service in 2019, at <https://www.theverge.com/2017/11/30/16720776/gm-cruise-self-driving-taxi-launch-2019>

შრომის ბაზრის გამოწვევები თანამედროვე საინფორმაციო საზოგადოებაში

ავტოინდუსტრიაში რობოტექნოლოგიის გავრცელება მხოლოდ ერთი მაგალითია იმისა, რომ ნებისმიერი საქმიანობა რომლის ავტომატიზირებაც შესაძლებელი გახდება, დაუყოვნებლივ იპოვის თავის ადგილს მეგაკორპორაციებში, ვინაიდან დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებით კომპანიები მნიშვნელოვნად ამცირებენ წარმოების ხარჯებს. არახალია, რომ ბიზნესი ნაკლები დანახარჯებით მაქსიმალური მოგების მიღებას ცდილობს, ყველა სიახლისა და შესაძლებლობისთვის ღიაა და უკიდურესად ელასტიურია ამ მიზნით ნებისმიერი გამოწვევის მიღებისთვის.

ბოლო ათწლეულების საუკეთესო მაგალითები ათიათასობით სამუშაო ადგილის მესამე სამყაროს ქვეყნებში გადატანით შეიქმნა. შესაბამისად, შორს არ არის ის დრო, როდესაც სწორედ ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგად მძიმე ინდუსტრიაში, სოფლის მეურნეობაში, რესურსების მოპოვების და, როგორც ზემოთ განხილული მაგალითიდან ვნახეთ, მომსახურების სფეროშიც კი უამრავი პროფესიისა და, შესაბამისად, სამუშაო ადგილის რობოტიზაცია მოხდება. ეს კი, თავის მხრივ, უმწვავესი გამოწვევა იქნება ნებისმიერ სახელმწიფოში დღეს არსებული სოციალურ-ეკონომიკური წყობისთვის.

დღემდე დომინანტი ეკონომიკური თეორიების მიხედვით პროგრესი შეუძლებელია გახდეს სამუშაო ადგილების დაკარგვის მიზეზი, ვინაიდან პროგრესს კეთილდღეობისა და ხარისხის გაუმჯობესება მოსდევს, ხოლო ეს უკანასკნელი თავისთავად ქმნის მეტ სამუშაო ადგილს და მეტ მოთხოვნას აჩენს დასაქმებაზე. თუმცა, საინფორმაციო რევოლუციის თანმდევი შრომის დემატერიალიზაციის პროცესი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ყველა მანამდე მოქმედ და გამოყენებად თეორიას.

სამუშაო ადგილების რობოტიზაციის პარალელურად, პროგრესი და წინსვლა, განსაკუთრებით მედიცინის სფეროში, კიდევ ერთი განსხვავებული რეალობის წინაშე გვაყენებს. გასულ საუკუნეებთან შედარებით, დღეს სიცოცხლის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად გაზრდილია. ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით ჩრდილოეთის ქვეყნებში, ანუ იქ, სადაც ამგვარი ტექნოლოგიური პროგრესი ყველაზე სწრაფად იკიდებს ფეხს, ხანდაზმულთა რიცხვი შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხვს აჭარბებს. შესაბამისად, იზრდება სოციალური ხარჯებიც და მძაფრდება ამ ხარჯების დაფარვის პრობლემა.


როგორც უკვე ითქვა, ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და დღევანდელი ტექნოლოგიური განვითარებით გამოწვეული მაღალი ტემპის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ მსგავს რევოლუციურ ცვლილებას გლობალური გავრცელებისთვის საშუალოდ 30-50 წელი სჭირდება, რაც სახელმწიფოების და პოლიტიკური კლასისთვის შესაძლებლობას ქმნის იმ მომენტისთვის სარისკო, მაგრამ ტექნოლოგიური ცვლილებისთვის ფეხის ასაწყობად აუცილებელი, გაბედული რეფორმები განახორციელოს. წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრესი და საინფორმაციო ტექნოლოგიური წინსვლა, შესაძლოა ხვალინდელი დღის უმთავრესი და უმწვავესი პრობლემა გახდეს. მოსალოდნელი სოციალური უთანასწორობა და უმუშევართა მზარდი არმიის ფრუსტრაცია მარტივი დაკვირვებით გლობალური სოციალური კრიზისის დასაწყისი იქნება, რაც საბოლოო ჯამში პოლიტიკური დესტაბილიზაციის, აჯანყებებისა და რევოლუციების დასაწყისად იქცევა ხოლმე.

კიდევ ერთხელ, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ პროგრესს ვერ შევაჩერებთ. დღეს კაცობრიობას ამისი არავითარი ინსტრუმენტი და შესაძლებლობა არ აქვს. ადამიანის ინტერესი და ცნობისმოყვარეობა უსაზღვროა, ეს კი სწორედ მეტი აღმოჩენის, მეტი განვითარების მომასწავებელია. ამასობაში, იმავე ადამიანების ვალია ტექნოლოგიური

თუ სხვა ტიპის პროგრესი სწორედ ადამიანების კეთილდღეობის, ბედნიერებისა და უსაფრთხოების ზრდის სამსახურში ჩავაყენოთ. შესაბამისად, დაყოვნების პერიოდი, რომელიც ბუნებრივად არსებობს გამოგონებიდან მის სრულ გავრცელებამდე, პოლიტიკური გადაწყვეტილებების რევოლუციურობის, ახალი პროფესიების განვითარების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და რეფორმატორული მართვისათვის უნდა გამოვიყენოთ.

ინტერნეტის გავრცელების მდგომარეობა საქართველოში


2017 წელს საქართველოში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, ქვეყანაში ინტერნეტზე წვდომა და სარგებლობის უფლება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებად გამოცხადდა და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციით დაცული მუხლის ნაწილი გახდა. შესაბამისად, დღეს კონსტიტუციით დეკლარირებული სიკეთის უზრუნველყოფა სახელმწიფოს პირდაპირი ვალდებულებაა.



წარმოდგენილ გრაფიკზე კარგად ჩანს ვითარება საქართველოში. თუკი 2010, 2013 და 2018 წლების ქვეყნის ინტერნეტდამხმარის რუქებს შევადარებთ ერთმანეთს, ცალსახად დავინახავთ პროგრესს, რომელიც სწორი სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად გახდა შესაძლებელი. თუმცა, აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მონაცემებიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ მიუხედავად ინტერნეტ-მომსახურების სხვადასხვა სერვისის ქვეყნის მასშტაბით გავრცელებისა, აბონენტების რაოდენობის ზრდის ტემპი არ ემთხვევა გავრცელების ტემპს. საიდუმლო არ არის, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზარზე, საქართველო ერთ-ერთი ყველაზე ძვირი ქვეყანაა,¹⁸ მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებლების მსყიდველუნარიანობა არც თუ ისეთი სახარბიელოა. შესაბამისად გვაქვს შედეგიც. ბოლო 8 წლის განმავლობაში აბონენტების რაოდენობა ქვეყანაში მხოლოდ 6-ჯერ გაიზარდა და მოსახლეობის დაახლოებით მეხუთედს შეადგენს. თუკი განვითარების მრუდს დავხედავთ ზრდა ერთმნიშვნელოვანი და შეუქცევადია, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, არა ინტენსივობის ხარჯზე. 2018 წლის იანვრის მონაცემებით, საქართველოში დაახლოებით 750 ათასი აბონენტი რეგისტრირებული, რაც სწორედ ხელმისაწვდომობის მწვავე პრობლემაზე მიგვანიშნებს. გამოკითხვების მიხედვით, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებზე და ინტერნეტზე წვდომა, უფრო მეტი ხელმისაწვდომობის შემთხვევაში,


18 იხილეთ ჟურნალისტური კვლევები, ბმულზე <http://b2p.ge/internetis-magali-tarifi/> ასევე <https://bpn.ge/finansebi/12169-ratom-gaadzvirda-internetis-safasuri-saqarthveloshi.html?device=xhtml&lang=ka-GE>, <https://bpn.ge/analizi/3334-internetis-siafitha-da-khariskhith-saqarthvelo-skhva-qveynebs-mnishn-velovnad-chamorcheba.html?lang=ka-GE>

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის, პრაქტიკულად, პირველი რიგის სამომხმარებლო კალათის პროდუქტი იქნებოდა. შესაბამისად, ზუსტად ისე, როგორც 2010-11 წლებში ინტერნეტპოლიტიკის დონეზე, საქართველოს ქმედითი სახელმწიფო ჩარევა სჭირდება მდგომარეობის გასაჯანსაღებლად.





წარმოდგენილი რუკები ბევრი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს, როგორც საინფორმაციო ტექნოლოგიების გავრცელების ტემპის, გეოგრაფიული დაფარვის, ასევე ქვეყნის მიერ აღირებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ გლობალური საინფორმაციო საზოგადოების აქტიური წევრობის განაცხადი ჯერ კიდევ 2003 წელს გააკეთა. 7 წლის შემდეგაც კი, მისი ტერიტორიის თითქმის ნახევარი ნაწილისფერი, ანუ ინტერნეტით ნულოვანი დაფარვის ზონა იყო (იხილეთ 2010 წლის ინტერნეტდაფარვის რუკა). 2010 წლისთვის, აქტიურობის ყველაზე მაღალ ზონაში, დედაქალაქშიც კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ 50 პროცენტით იყო წარმოდგენილი. ნიშანდობლივია, რომ აგრესიული სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად, რაც ერთი მხრივ, საჯარო სკოლების და საჯარო სივრცეების, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების სავალდებულო ინტერნეტიზაციის პროგრამით განხორციელდა.



სამიწლის შემდეგ, 2013 წელს ეს მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, და საქართველოს თითქმის მთელი ტერიტორია 20-დან 50 პროცენტის დარღვევის ზონაში აღმოჩნდა. ამასთანავე, გაჩნდა 100-პროცენტის დარღვევის ტერიტორიები დედაქალაქისა და რამდენიმე სხვა ქალაქის ხარჯზე.

საქართველოს დღევანდელი, 2018 წლის სტატუსი კიდევ უფრო განსხვავებულია და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სხვადასხვა ტექნოლოგიის კომბინირებით, ინტერნეტმომსახურებაზე წვდომის თვალსაზრისით პროგრესი ხელშესახებია. გაზრდილია 90-100 პროცენტის დარღვევის ზონებიც. თუმცა პროცესის დასრულებამდე ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი, განსაკუთრებით ქვეყნის მაღალმთიან რეგიონებში.



პირველი საერთაშორისო დებატები და მაკბრაიდის ანგარიში „ბევრი ხმა, ერთი მსოფლიო“ – ბიძგი საინფორმაციო ტექნოლოგიების გლობალიზაციისთვის

ტექნოლოგიური პროგრესი გასული საუკუნის 70-იან წლებში, ერთმანეთთან დაკავშირებული ბევრი მიზეზის გამო, მეცნიერებისა და პოლიტიკოსების ინტერესის საგანი გახდა. შესაბამისად, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასა და განვითარების შედარებით მაღალ დონეზე მყოფ ქვეყნებში ინტენსიური დებატები დაიწყო საინფორმაციო ტექნოლოგიების გლობალიზაციის შესახებ. დასაწყისისთვის, მისი უმთავრესი მიზეზი მასმედიასა და საინფორმაციო საშუალებებზე დაუბალანსებელი წვდომა იყო. დებატები სხვადასხვა დედაქალაქსა და საერთაშორისო ფორუმზე მიმდინარეობდა, რამაც საბოლოოდ გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სპეციალიზებული ორგანიზაციის, UNESCO-ს მიერ ავტორიზებულ კვლევაში ჰპოვა ასახვა. კვლევას „ბევრი ხმა, ერთი მსოფლიო“ მაკბრაიდის ანგარიშად მოიხსენიებენ¹⁹. იგი 1980 წელს სწორედ UNESCO-ს ეგიდით გამოქვეყნდა და სწორედ საინფორმაციო კომუნიკაციის პრობლემების შესწავლას ემსახურებოდა.

მაკბრაიდის ანგარიშში 82 დეტალური რეკომენდაცია არის მოცემული მედიის დამოუკიდებლობის, ინფორმაციის არათანაბარი ხელმისაწვდომობის სოციალური შედეგების, საკომუნიკაციო სისტემების დემოკრატიზაციის, ჟურნალისტური სტანდარტებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოების შესახებ (MacBride, 1980). ანგარიში „მსოფლიოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო წესრიგის“ კონცეფციის დამტკიცებას ადვოკატირებს, რაც საბოლოოდ, საერთაშორისო თანამეგობრობამ სწორედ UNESCO-ს ეგიდით გამართული მრავალი კონფერენციის ერთიან შეჯერებულ პოზიციად მიიღო კიდევ.

კიდევ ერთი ორგანიზაცია, რომელიც პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისთვის ტელეკომუნიკაციების განსაკუთრებულ როლზე აქტიურად საუბრობდა, ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირია (ITU). 1984 წლის ანგარიშში „დაკარგული კავშირი“ მაკბრაიდის რეკომენდაციების დარად სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისთვის რესურსების მობილიზაციაზე საუბრობს, თუმცა მისი ცენტრალური საკითხი პოლიტიკურ სტრატეგიასა და რეგულირების მექანიზმებზე ფართო საერთაშორისო შეთანხმებისკენ მოწოდებაა (Mansell & Nordenstreng, 2007: 16).

მიუხედავად იმისა, რომ ციფრული ტექნოლოგიები და მისი ეკონომიკურ-პოლიტიკური და სოციალური შედეგები 70-80-იან წლებში ფართო დისკუსიის საგანი იყო, დიდწილად ის საექსპერტო მაგიდებით შემოიფარგლებოდა. საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების მსგავსად, სწორედ ამ პერიოდში გამოქვეყნდა უმნიშვნელოვანესი შრომები და ანგარიშები ეროვნულ დონეზეც, თადაო უმესაოს ანგარიში იაპონიაში²⁰, მეჩლაპი და პორატის – ამერიკაში²¹, ნორა და მინჩის ანგარიში საფრანგეთის პრეზიდენტისთვის (1978)²², ლიოტარდის ანგარიში კვებეკის მთავრობისთვის კანადაში (1979), სოლა პოლის თეორია ინფორმაციის თავისუფალი გადაადგილების შესახებ ამერიკაში (1983) და სხვა.

19 მაკბრაიდის ანგარიშის სრული ვერსია იხილეთ ბმულზე <http://unesdoc.unesco.org/imag-es/0004/000400/040066eb.pdf>

20 Tadao Umesao, „Information Industry Theory: Dawn of the Coming Era of the Ectodermal Industry“, 1963

21 F. Machlup, The Production and Distribution of Knowledge in the United States, 1962 და M. U. Porat, The Information Economy, 1977

22 The Computerization of Society: A Report to the President of France. Simon Nora & Alain Minc, 1980

ამ და სხვა მსგავსმა აქტივობებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს სახელმწიფოების ინდივიდუალური დამოკიდებულების და პოლიტიკის განაცხადის ფორმირებაში.

1996 წელს, OECD -იმ გამოაქვეყნა ყველა იმ წინადადებისა და სამოქმედო პლატფორმის შედარებითი კვლევა, რომელიც ჩრდილოეთის ქვეყნებში მომზადდა. კვლევა მოიცავდა ავსტრალიის, კანადის, დანიის, ფინეთის, გერმანიის, იაპონიის, შვედეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივებს.

კვლევის მიხედვით, ყოველი ამ ინიციატივით თითოეული სახელმწიფო თვისობრივად ახალ ეტაპზე გადადიოდა საინფორმაციო საზოგადოების განვითარების უპრეცედენტოდ აგრესიული მხარდაჭერისთვის, ვინაიდან სწორედ ეს უკანასკნელი მიიჩნეოდა ეკონომიკური განვითარების, მხარდი პროდუქტიულობისა და ზოგადად ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების უალტერნატივო წინაპირობად (OECD, 1996. 6).

აქვე აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, რომ 1993 წელს ევროკავშირმაც მიიღო პოლიტიკის დოკუმენტი,²³ რომელიც ევროპის უკეთესი მომავლისთვის საინფორმაციო საზოგადოების განვითარების კრიტიკულ მნიშვნელობას აღიარებდა და ადასტურებდა.

ევროკავშირის მიერ საინფორმაციო-ტექნოლოგიური განვითარების პოლიტიკური დღის წესრიგის დოკუმენტის მიღების პარალელურად იმავე 1993 წელს ამერიკაში გამოქვეყნდა „ეროვნული საინფორმაციო ინფრასტრუქტურის“ (NII)²⁴ მოხსენება. ეს დოკუმენტები ერთგვარ ათვლის წერტილად იქცა პროაქტიული სამთავრობო პროგრამების ფორმირებისა და ბაზარზე არსებული მოთამაშეების მხარდასაჭერად.

მოგვიანებით, 2000 წელს დიდმა რვიანმა მოიწონა ოკინავას ქარტია გლობალური საინფორმაციო საზოგადოების შესახებ²⁵, რომლის საფუძველზეც დაფუძნდა ციფრული შესაძლებლობების სამუშაო ჯგუფი²⁶, ყველა დაინტერესებული და შემძლე მხარის მონაწილეობით. კერძოდ, ჯგუფი დასაწყისში 42 წევრს აერთიანებდა. მათ შორის დიდი რვიანის წევრი სახელმწიფოები და ევროკავშირი, 8 ე.წ. სამხრეთის ქვეყანა (ბოლივია, ბრაზილია, ეკვატორი, ინდონეზია, სენეგალი, სამხეთ აფრიკა და ტანზანია), 7 საერთაშორისო ორგანიზაცია (ECOSOC, ITU, OECD, UNDP, UNCTAD, UNESCO & World Bank), 11 კერძო ბიზნესის წარმომადგენელი (მაგალითად, საერთაშორისო ციფრული ქსელები GIIC, GBDE, WEF, ასევე წევრი ქვეყნების წარმომადგენელი კომპანიები), ასევე 8 წარმომადგენელი არამომგებიანი სექტორიდან. სამუშაო ჯგუფის მიზანი იყო სამოქმედო გეგმის მომზადება, რომელიც პასუხს გაცემდა მთავარ კითხვას „რა არის ყველაზე ეფექტური გზა და საშუალება ციფრული რევოლუციის მონაპოვარის მსოფლიოს ყველა მოქალაქემდე მისაყვანად? განსაკუთრებით კი ყველა ღარიბ და მარგინალურ ჯგუფამდე?“ (DOT Force, 2001: 3).

თითქმის 30-წლიანი დებატების შემდეგ, აშშ ვიცე-პრეზიდენტის ალ-გორის²⁷ ინიცირებულმა რევოლუციურმა მოძრაობამ ერთგვარი ბიძგი მისცა მსოფლიოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო წესრიგის (NWICO)²⁸ კონცეფციის შექმნას და

23 „White Paper on Growth, Competitiveness, Employment: the challenges and way forward to the 21st century,,

24 „Serving the Community: A Public-Interest Vision of the National Information Infrastructure“ – CPSR’s policy paper on the NII, October 1993 at http://cpsr.org/prevsite/cpsr/nii_policy.html/

25 [Kyushu-Okinawa Summit 2000 \(Official Documents\)](http://www.mofa.go.jp/policy/economy/summit/2000/documents/charter.html) > Okinawa Charter on Global Information Society, at <http://www.mofa.go.jp/policy/economy/summit/2000/documents/charter.html>

26 Digital Opportunity Task Force (DOT Force)

27 ამერიკის შეერთებული შტატების 45-ე ვიცე-პრეზიდენტის ალ გორის მიერ ინიცირებული კანონმდებლობის და საინფორმაციო საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის იხილეთ, <https://www.internethalloffame.org/inductees/al-gore>, აგრეთვე, მისი გამოსვლა 1994 წელს ლოს ანჯელესში საინფორმაციო სუპერ-ქსელების სამიტზე, <https://www.uibk.ac.at/voeb/texte/vor9401.html>

28 ინფორმაცია მსოფლიოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო წესრიგის კონცეფციის შესახებ იხი-

მსოფლიო სამიტის ორგანიზებას, რომელიც გაეროს ეგიდით ორ ფაზად, 2003 და 2005 წლებში, ჟენევასა და ტუნისში ჩატარდა²⁹.

გაეროს მსოფლიო სამიტის ძირითადი და მამოძრავებელი იდეა მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებების აღმოფხვრა და განვითარებადი მსოფლიოს ინტერნეტთან წვდომის უზრუნველსაყოფად ახალი გზების ძიება იყო.

ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ალ გორი სრულიად სამართლიანად ითვლება საინფორმაციო საზოგადოების კონცეფციის პოლიტიკურ დღის წესრიგში დამკვიდრების მთავარ ავტორად. სწორედ ვიცე-პრეზიდენტი ალ გორის ინიციატივით დაინერგა მძლავრი კერძო-სამთავრობო ინიციატივა საერთო მიზნის მისაღწევად: ყველა მოქალაქისთვის, ყველგან და ყოველთვის, ხელმისაწვდომი გამხდარიყო ინფორმაცია.

სწორედ ეს სამი პრინციპი გახდა ვიცე პრეზიდენტის ინიციატივის ქვაკუთხედი და როგორც აშშ-ს, ასევე პრაქტიკულად ყველა განვითარებული დემოკრატიის სახელმწიფოს მთავრობის შემდგომი მოქმედების გეგმის საწყისი:

- ყველგან,
- ყოველთვის,
- ხელმისაწვდომ ფასად.

„დღეს სახეზე გვაქვს ტექნოლოგიური რევოლუცია და ყველა ეკონომიკური საშუალება იმისათვის რომ ერთხელ და სამუდამოდ მთელი მსოფლიო, ყველა ხალხი და საზოგადოება გავაერთიანოთ. დღეს შეგვიძლია შევექმნათ პლანეტის ერთიანი საინფორმაციო ქსელი, ერთი საინფორმაციო საზოგადოება, რომელიც სინათლის სიჩქარით ერთმანეთს უზიარებს სათქმელსა და სანახავს, ნებისმიერი კონტინენტის დიდი ქალაქებიდან სულ პატარა სოფლებამდე და პირიქით“.

ალ გორი, Schiller, 1996: 91.

საინფორმაციო საზოგადოების განვითარებისთვის საეტაპო მნიშვნელობის იყო 2010 წელს დაფუძნებული პლატფორმა „ციფრული დღის წესრიგი ევროპისთვის“. მისი ამოცანა ერთიანი ევროპული ციფრული ბაზრის შექმნით მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური სარგებლის წახალისება იყო. მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკურად 250 მილიონი ევროპელი ყოველდღიურად იყენებს ინტერნეტს, მაღალი სიჩქარის, უწყვეტი წვდომისა და ხელმისაწვდომი ფასების უზრუნველყოფა კვლავაც დგას ევროპის დღის წესრიგში, ზუსტად ისე, როგორც წლების წინ ელექტრიფიკაცია ან სატრანსპორტო ინსფრასტრუქტურით უზრუნველყოფა იყო.

ლეთ მითითებულ ვებ-გვერდებზე: http://www.blackwellreference.com/public/tocnode?id=g9781405131995_chunk_g978140513199519_ss13-1, http://www.uta.fi/cmt/en/contact/staff/kaarlenordenstreng/publications/CUC_Modern_Communication_article_by_Nordenstreng.pdf

29 გაეროს ჟენევის და ტუნისის მსოფლიო სამიტების, ისევე როგორც 2006 წლის შემდეგ ITU-ს ეგიდით გამართული ყველა ფორუმის შესახებ სრული ინფორმაცია, დღის წესრიგი, მიღებული დოკუმენტები, დეკლარაციები, გამოსვლები, პოლიტიკური განაცხადები იხილეთ ბმულზე <https://www.itu.int/net4/wsis/forum/2018/Pages/About#intro>

საინფორმაციო საზოგადოების გაეროს მსოფლიო სამიტი

2003 წელს, გაეროს ეგიდით მსოფლიო საინფორმაციო საზოგადოების პირველი სამიტი (WSIS) გაიმართა. მასში 175 ქვეყნის დელეგაციამ მიიღო მონაწილეობა. სამიტზე დეკლარაცია მიიღეს, რომელიც იმავდროულად საინფორმაციო საზოგადოების საყოველთაოობისა და ერთგვაროვანი ცოდნის გავრცელების სამოქმედო გეგმა³⁰. გეგმა მრავალ საკითხს შეეხებოდა, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი:

- (1) საინფორმაციო და კომუნიკაციის ინფრასტრუქტურა;
- (2) ინფორმაციასა და ცოდნაზე ხელმისაწვდომობა;
- (3) შესაძლებლობების ზრდა;
- (4) საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების მიმართ ნდობის ზრდა და უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესება;
- (5) საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების სარგებელი ყოველდღიურ ცხოვრებაში;
- (6) კულტურული მრავალფეროვნება, ლინგვისტური მრავალფეროვნება, იდენტობა და ადგილობრივი კონტექსტი;
- (7) მედია;
- (8) საინფორმაციო საზოგადოების ეთიკა;
- (9) საერთაშორისო და რეგიონალური თანამშრომლობა.

გაეროს სამიტზე მომხსენებლები საინფორმაციო ტექნოლოგიების გავრცელებასა და ხელმისაწვდომობაში არსებული დისკრიმინაციის შესახებ საუბრობდნენ. არავის ეჭვქვეშ არ დაუყენებია ის ფაქტი, რომ სახელმწიფოთა შორის განხვავებები, ან თავად ქვეყნების შიგნით ღარიბი მოსახლეობის მხრიდან ინტერნეტზე შეზღუდული ან არარსებული წვდომა სწორედ დისკრიმინაციის შედეგი იყო და მას ციფრული დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესაბამისი სახელმწიფო და გლობალური პოლიტიკა უნდა დაპირისპირებოდა. ახალ ინფორმაციაზე, ტექნოლოგიურ პროგრესსა და სამეცნიერო მიღწევებზე წვდომა ყველას უფლებაა და მისი ჩამორთმევა, რიგ შემთხვევებში, სახელმწიფოს გაღარიბების და რეგრესის უმოკლესი გზაა.

სამიტზე შეჯერებული გეგმა 10-წლიანი იყო და ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანების რეალიზებისთვის, აგრეთვე დისკრიმინაციის აღმოფხვრისთვის უმნიშვნელოვანეს პირობად 2015 წლისთვის მსოფლიოს მოსახლეობის მინიმუმ 50 პროცენტის ინტერნეტ-ქსელში ჩართვა გამოცხადდა. სამწუხაროდ, ჟენევაში, ვერ შეთანხმდნენ გეგმის დაფინანსებისა და რეალიზებისთვის შემდგომი კონკრეტული ნაბიჯების შესახებ.

ორი წლის შემდეგ, 2005 წელს, გაეროს ტუნისის მეორე სამიტზე, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვაში განხვავებების აღმოფხვრის მიზნით, დაფუძნდა ციფრული სოლიდარობის ფონდი, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია.

გაეროს 2003 და 2005 წლების სამიტების შედეგი ოთხი ძირითადი დოკუმენტი იყო:

30 2003 წლის ჟენევის WSIS სამიტის დეკლარაცია იხილეთ ბმულზე <http://www.itu.int/net/wsis/docs/geneva/official/poa.html>

1. *ჟენევის პრინციპების დეკლარაცია;*
2. *ჟენევის სამოქმედო გეგმა;*
3. *ტუნისის დღის წესრიგი საინფორმაციო საზოგადოებისთვის;*
4. *ტუნისის ვალდებულებები.*

ტუნისის „დღის წესრიგი“ გვთავაზობს სახელმწიფოების ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის პირობებს განვითარების ხელშეწყობისა და წახალისებისთვის: „არსებობს საჭიროება ფართომასშტაბიანი თანამშრომლობისათვის, რომელიც სახელმწიფოებს დაეხმარება მათი როლისა და ვალდებულებების უკეთ შესრულებაში... რაც გულისხმობს, დაინტერესებული მხარეების ჩართულობას საჯარო პოლიტიკის ფორმირებაში“³¹.

2006 წლის შემდეგ WSIS ყოველწლიური ფორუმის ფორმატში მუშაობს ITU-ს ეგიდით და სამიტებს შუა პერიოდში განვითარების მიმდინარე პროცესისა და ტენდენციების მონიტორინგს და ანალიზს ახდენს. ფორუმი ტუნისის „დღის წესრიგით“ დაფუძნდა: „მოვუწოდებთ (გაეროს) გენერალურ მდივანს მოიწვიოს ახალი ფორუმი, გადაწყვეტილების მიმღებთა მუდმივმოქმედი პოლიტიკური დიალოგისთვის“³². სწორედ „ფორუმი“ გახდა მთავარი საერთაშორისო სადისკუსიო არენა ექსპერტების, სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენლებისთვის.

ზუსტად 10 წლის შემდეგ, 2015 წლის დეკემბერში მსოფლიოს ლიდერები კიდევ ერთხელ შეიკრებნენ, ამჯერად ნიუ-იორკში გენერალური ასამბლეის ფორმატში, თუმცა უმთავრესი საკითხი ციფრული ტექნოლოგიების განვითარებისა და ხელმისაწვდომობის დისბალანსი მსოფლიოში კვლავაც უპირველეს პრობლემად დასახელდა.

31 ტუნისის 2005 წლის დღის წესრიგი, პარაგრაფები 67-69, აგრეთვე, იხილეთ გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის ბმული A/RES/65/141: Information and communications technologies for development, http://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=A/RES/65/141

32 ტუნისის 2005 წლის დღის წესრიგი, პარაგრაფი 67.

საინფორმაციო საზოგადოების განვითარების ციკლი

პირველი ფაზა – ინფრასტრუქტურა და წვდომა

ინფრასტრუქტურის განვითარება და მასზე წვდომა, როგორც სახელმწიფოების ინდივიდუალური, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის (ITU, OCDE, UN-ESCO და სხვა) ანგარიშების მიხედვით, დღის წესრიგის უმთავრეს პრიორიტეტად ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში გამოცხადდა. თუმცა, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ვერც მსოფლიო სამიტზე და ვერც მანამდე, ვერ მოხდა იმის უზრუნველყოფა, რომ მძლავრი საერთაშორისო მექანიზმები შექმნილიყო ამგვარი გეგმების რეალურად დანერგვისათვის.

ინფრასტრუქტურული ფაზა თავისთავად ისეთ სახელმწიფო პოლიტიკას გულისხმობს, რომელიც უზრუნველყოფს:

- (1) საჭირო და ადეკვატური ფიზიკური ინფრასტრუქტურის არსებობას, და
- (2) მოსახლეობას და ქვეყნებს უქმნის ამ ინფრასტრუქტურაზე წვდომისა და მისი გამოყენების რეალურ შესაძლებლობას, რაც საბოლოო ჯამში ციფრულ ტექნოლოგიებს სწორედ მოსახლეობისათვის სარგებლის მომტან ინსტრუმენტად აქცევს.

„ინტერნეტი გლობალური საჯარო სივრცეა, რომელიც ღია და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის რაიმე ფორმის დისკრიმინაციის გარეშე. შესაბამისად, ინტერნეტი უნდა დავინახოთ როგორც გლობალური საჯარო ინფრასტრუქტურა. ინტერნეტს განვიხილავთ როგორც გლობალურ საჯარო სივრცეს, რომელიც კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობაა და მასზე წვდომა ყველას საჯარო ინტერესია, შესაბამისად, გარანტირებული უნდა იყოს ყველას მიერ, როგორც თანასწორობის უზრუნველყოფის საყოველთაო ვალდებულება.“

პროგრესული კომუნიკაციების ასოციაციის ქარტია

მეორე ფაზა – განათლება და განვითარება

მიუხედავად იმისა, რომ ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის და ყველას მიერ ინტერნეტთან წვდომის ფაზა დასრულებული არ არის, პარალელურად უმნიშვნელოვანესია მეორე, განათლების ფაზის განვითარება, რომელიც განათლების სისტემის პოლიტიკას უფრო შეეხება, ვიდრე ციფრულ ტექნოლოგიებს და მისი ამოცანა აღნიშნული ინფრასტრუქტურის გამოყენების, მისი ფლობის და საუკეთესო შესაძლებლობების ინსტრუმენტალიზაციას ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში მთავარი აქცენტი განათლების სტანდარტებს, ინფორმაციის გავრცელების, ფლობისა და გამოყენების წესების დამკვიდრებაზე მოდის.

„რამდენად მოახერხებს მთლიანად კაცობრიობა არსებული შესაძლებლობებისგან სარგებლის მიღებას, მთლიანად დამოკიდებულია არა მხოლოდ იმაზე, რამდენად სწრაფად და ეფექტურად მოხდება ტექნოლოგიური მონაპოვარის გავრცელება, არამედ უპირველესად იმაზე, რამდენად შეძლებენ ადამიანები საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობას და გამოყენებას კონკრეტული მიზნებისთვის. მხოლოდ ამ შემთხვევაში, შესაბამისი ცოდნის პირობებში შეიძლება ვისაუბროთ საინფორმაციო საზოგადოების მიერ მისი უმთავრესი მიზნის მიღწევაზე – მოქალაქეების აღჭურვა ცოდნის ხელმისაწვდომობითა და გამოყენებით.“

UNESCO, 1996: 2

მესამე ფაზა – საინფორმაციო საზოგადოების სოციალური და კულტურული გამოწვევები

ეს უკანასკნელი, უკვე მედია პოლიტიკის დომეინია. სახელმწიფოები ძირითადად საინფორმაციო პოლიტიკის, ქვეყანაში ინფორმაციის თავისუფლებისა და მედიის მდგომარეობით, ისევე როგორც კულტურული და სოციალური ასპექტების რეგულირებით არიან დაინტერესებული, იმ ერთადერთი მიზნით, რომ ინფორმაციისა და კომუნიკაციის სფეროში ბალანსი მაქსიმალურად იყოს დაცული. მაგალითად, ჯერ კიდევ 1996 წელს გამოქვეყნებულ OECD-ის ანგარიშში გვხვდება საფრანგეთ-გერმანიის მიერ გამოხატული შიშები ინგლისური ენის და ზოგადად, ანგლოსაქსური დომინანტის შესახებ. ამ თვალსაზრისით, ასევე საინტერესო იყო ვატიკანის განაცხადი გაეროს მეორე, ტუნისის სამიტზე სადაც ვკითხულობთ: „ჩვენ მხარს ვუჭერთ გამოხატვის თავისუფლებას და იდეების თავისუფალ გაცვლას, მაგრამ მოგიწოდებთ დავიცვათ მორალური წესრიგი და საზოგადოებრივი სიკეთე. ჩვენ ამ განვითარებას (საინფორმაციო საზოგადოების) უნდა შევხედოთ როგორც ძალიან მგრძნობიარეს და ამ პროცესში პატივი ვცეთ სხვა ადამიანების ღირებულებებსა და მრწამსს, დავიცვათ კულტურების განსხვავებულობა და ამით გავუფრთხილდეთ კაცობრიობის ერთობას“.

მეოთხე ფაზა – კლასიკური წარმომადგენლობითი დემოკრატიის კრიზისი

მიუხედავად იმისა, რომ კიბერსივრცეში კულტურული იდენტობის საკითხი კვლავაც უმნიშვნელოვანესია და სავარაუდოდ დიდი ხნის მანძილზე ასეთად დარჩება, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ და გავრცელების დინამიკამ, მათ შორის სოციალური მედიის განვითარებამ, გამოწვევათა ნუსხაში ახალი მდგენელი გააჩინა. კერძოდ, ინტერნეტ-ინტერაქციის ეპოქაში ფუნდამენტურად შეიცვალა წარმომადგენლობითი დემოკრატიის ბუნება. მისი პრაქტიკულად ყველა, დღემდე ცნობილი და სტანდარტული ფორმა თუ ინსტიტუცია ბოლო 10 წლის მანძილზე ფუნდამენტურ ცვლილებებს განიცდის და სრულიად სამართლიანი იქნება ვივარაუდოთ, რომ ეს პროცესი კიდევ უფრო დიდი სისწრაფით გაგრძელდება. არსებობს რწმენა, რომ კომპიუტერული ქსელებისა და ინტერნეტის საყოველთაოობის პირობებში დემოკრატიული მმართველობა იდეალურ მდგომარეობას უახლოვდება.

სწრაფი და იაფი ინტერნეტი უზრუნველყოფს ინფორმაციაზე წვდომას ყველასთვის, რაც თავისთავად ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დღემდე არნახულ მაღალ სტანდარტებს ადგენს. სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება, თანასწორობა, გამჭვირვალობა, წარმომადგენლობითობა და პოლიტიკური თანამდებობის პირების ანგარიშვალდებულება სოციალური მედიის მზარდი დომინანტი როლის გათვალისწინებით სრულად ტრანსფორმირდა.

ძველი საბერძნეთის ან საშუალო ინგლისური ქალაქის ცენტრში შეკრებებისგან განსხვავებით, დღეს მოქალაქეებს საშუალება აქვთ ე-დემოკრატიის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით მუდმივ კომუნიკაციაში იყვნენ, როგორც ერთმანეთთან, ასევე მათ მიერ არჩეულ მოხელეებთან, ჩამოაყალიბონ საკუთარი პოზიცია და მოიძიონ ამ პოზიციის გამზიარებლები, კიბერსივრცეში მოახდინონ მობილიზაცია და საკუთარი აზრი ათასობით ადამიანის პოზიციად აქციონ საჯარო პირებისთვის წარსადგენად და სხვა. ინტერნეტის საყოველთაო გავრცელების კვალდაკვალ, პირდაპირი დემოკრატიის გამოყენება სულ უფრო ფართოვდება, იხვეწება და ახალახალი შესაძლებლობები იქმნება.

დღეს უკვე კომპიუტერის კლავიშზე თითის ერთი დაწკაპუნების მანძილზე ნებისმიერი ინფორმაცია, ამავე სისწრაფით შეგვიძლია გავარკვიოთ საზოგადოების არა მხოლოდ ზოგადი განწყობები ამა თუ იმ პოლიტიკური განაცხადისა თუ ინიციატივის შესახებ, არამედ მივიღოთ კონკრეტული შედეგები ვირტუალური კენჭისყრებით, სოციოლოგიური გამოკითხვებით და სხვა. მსოფლიომ უკვე გამოსცადა ბევრი მაგალითი, სწორედ ე-რევოლუციების ან ინტერნეტსივრცეში დაგეგმილი კამპანიებისა, რომელიც მასობრივად გადაედინა სხვადასხვა ქალაქის ქუჩებსა თუ მოედნებზე და დემოკრატიული ტრანსფორმაციის ბიძად იქცა, თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისია.

ე-დემოკრატია, შესაძლოა დავინახოთ როგორც უზარმაზარი შესაძლებლობა ძალაუფლების ხალხისთვის დაბრუნების გზაზე, საჯარო პოლიტიკაზე რეალური, ყოველდღიური გავლენისთვის, გამჭვირვალობისა და ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფისთვის. თუმცა იმავდროულად, 1993 წელს ჟურნალ „ნიუ იორკერის“ გარეკანზე გამოქვეყნებული პიტერ სტეინერის ცნობილ კარიკატურას თუ დავესესხებით „**ინტერნეტში არავინ იცის, რომ ძალდი ხარ**“, რაც იმას ნიშნავს, რომ ინტერნეტში მანიპულაციის და სიყალბის შესაძლებლობა მაღალია. არსებობს საფრთხე, რომ სწორი კრიტერიუმებისა და მართვის პრინციპების არარსებობის პირობებში დემოკრატიის სხვადასხვა ფორმის ვირტუალურად გამოყენების შედეგები უკიდურესად სუბექტური და ელიტისტური, ან უბრალოდ კონკრეტული ჯგუფის ინტერესების გამომოხატველი აღმოჩნდეს, მაგრამ თანამედროვე ტექნოლოგიების სრულფასოვანი

ფლობის პირობებში ვირტუალური კავშირითაც შესაძლებელია რეალობასთან ძალიან მიახლოებული სურათის მიღება.



©The New Yorker Collection 1993 Peter Steiner
From cartoonbank.com. All rights reserved.

"On the Internet, nobody knows you're a dog."

ყველა საფრთხის და გამოწვევის გამოყენებით ე-დემოკრატია და ე-მმართველობა, დღეს მსოფლიოში მიმდინარე აკადემიური თუ პოლიტიკური დებატებისთვის ერთ-ერთი ყველაზე აქტიურად განხილვადი თემაა. შესაბამისად, კიბერსივრცის უსაფრთხოება და მასთან დაკავშირებული ეროვნული უსაფრთხოების საკითხებიც.

მეხუთე ფაზა – კიბერუსაფრთხოება

ინტერნეტის, ან უფრო ზუსტად კიბერსივრცეში საკუთარი უსაფრთხოების დაცვა მსოფლიოს დღის წესრიგში ყველაზე აქტიურად გაეროს ჟენევის სამიტზე მოექცა, როდესაც აშშ-ს მთავრობამ საკუთარი სრულფასოვანი თანამონაწილეობის პირობად რამდენიმე მიმართულებით უსაფრთხოების მექანიზმების შემუშავება, საერთაშორისოდ დაცულ სიკეთედ აღიარება და დაცვა დაასახელა. ამერიკელებს ძირითადად სამი მოთხოვნა³³ ჰქონდათ და ყოველი მათგანი დღეს კიდევ უფრო აქტუალურია.

1. საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორის მდგრადი და მუდმივი განვითარების უზრუნველყოფისთვის სახელმწიფოების როლის ზრდის კვალდაკვალ კერძო სექტორის უფლებების დაცვა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა. ამერიკელები ამგვარი პოლიტიკის მხარდაჭერაში თავად სექტორის უფრო სწრაფი განვითარების შანსსაც ხედავდნენ, ვინაიდან სწორედ ამ მიდგომის პირობებში „სახელმწიფოები შეძლებენ

³³ ჟენევის მსოფლიო სამიტზე, საერთაშორისო კომუნიკაციებისა და საინფორმაციო პოლიტიკის ამერიკის შეერთებული შტატების კოორდინატორის, დევიდ გროსის გამოსვლის შეახებ, სრული ინფორმაცია, ისევე როგორც ამ საკითხზე სხვადასხვა ქვეყნების პოზიციები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <http://www.iwar.org.uk/news-archive/2003/12-03.htm>

მოიზიდონ ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის საჭირო ინვესტიციები კერძო სექტორის მხრიდან“.

2. ამერიკელების მეორე მნიშვნელოვანი მოთხოვნა შეეხებოდა სრულფასოვანი ინტერნეტმართველობის უზრუნველყოფისთვის ინტერნეტში ინტელექტუალური საკუთრების დაცვას.

3. და ბოლოს, ინტერნეტში ელექტრონული კომუნიკაციის ყველა ფორმის, მათ შორის ე-ვაჭრობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მსოფლიოს უსაფრთხოების პრიორიტეტად გამოცხადება. „ყველაფერი, რაზეც ვსაუბრობთ, იმუშავებს და ეფექტური იქნება ხალხისთვის იმდენად, რამდენადაც ადამიანებს ექნებათ რწმენა, რომ ქსელები დაცულია კიბერშეტევებისგან, ასევე დაცულია მათი პირადი უსაფრთხოება“ – განაცხადა აშშ საერთაშორისო კომუნიკაციებისა და საინფორმაციო პოლიტიკის კოორდინატორმა, დევიდ გროსმა, აშშ-ს სახელით ჟენევის სამიტისთვის მიმართვისას.

სწორედ ამერიკელების დაჟინებული მოთხოვნა იყო ფართო კონსენსუსის მიღწევა „კიბერუსაფრთხოების კულტურის“ დამკვიდრებაზე, რომელიც არა მხოლოდ საერთაშორისო დოკუმენტებში უნდა ასახულიყო, არამედ ეროვნული სახელმწიფოების პოლიტიკის ნაწილი უნდა გამხდარიყო, როგორც შემდგომი განვითარებისა და გაფართოების წინაპირობა. ბატონი გროსის წინადადება იყო კიბერუსაფრთხოების დაცვა სისხლის სამართლის პოლიტიკით, ასევე ინტერნეტსივრცეში განხორციელებული უკანონო ქმედებების გათანაბრება მიწაზე და წყალში ჩადენილ დანაშაულებთან, შესაბამისად საერთაშორისო მექანიზმების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა სამართალდამცავებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობას კიბერდამნაშავეების გამოაშკარავებისა და პასუხისგებაში მიცემის კუთხით.

სამწუხაროდ, ჟენევის სამიტზე ინტერნეტმართველობის შესახებ სახელმწიფოებმა ვერავითარ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და რაიმე კონკრეტული საერთაშორისოდ აღიარებული და დამტკიცებული სამოქმედო გეგმა ან სტრატეგია დღემდე მიღებული არ არის. გამოწვევისაა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, რომელსაც დღეს უკვე ოფიციალურად აღიარებული აქვს ომის ოთხგანზომილებიანი (მიწაზე, წყალში, ჰაერში და კიბერსივრცეში) ბუნება, იგი აღიარებს კიბერომს, როგორც ომის სახეობას და შესაბამისად, მრავლობით დოკუმენტებში გვხვდება სამოქმედო სტრატეგია და ტაქტიკური გეგმები.³⁴

პროცესის სხვადასხვა ფაზად დაყოფა არ ნიშნავს იმას, რომ ერთი მეორეს მოსდევს, ან მეოთხე მესამის დასრულებას ელოდება. პროცესი პრაქტიკულად პარალელურ რეჟიმში ვითარდება და დამატებით, როგორც კვლევის სხვადასხვა ნაწილიდან კარგად ჩანს, „შრომის ბაზრის ხელახალი გადანაწილება“ მუდმივ გამჭოლ პარამეტრად მიჰყვება მთელს პროცესს.

34 ნატოს კიბერუსაფრთხოების სისტემით დაინტერესების შემთხვევაში ინფორმაცია იხილეთ ბმულზე, https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2016_07/20160627_1607-factsheet-cyber-defence-eng.pdf

საინფორმაციო საზოგადოების მოდელები

საინფორმაციო საზოგადოების განვითარებასთან დაკავშირებულ რისკებთან გამკლავების მსოფლიოში მოქმედი რეჟიმები სამ ჯგუფად შეიძლება გავაერთიანოთ. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს კიდევ სახელმწიფოების მეოთხე ჯგუფი, რომელიც გეოგრაფიულად და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით უმრავლესობას წარმოადგენს და სადაც საინფორმაციო საზოგადოების მხოლოდ ჩანასახებია ჯერ-ჯერობით წარმოდგენილი. შესაბამისად, მსოფლიოს ამ ნაწილში, განვითარების რომელიმე კონკრეტული ფორმატის ადაპტაციაზე განსაკუთრებული ძალისხმევის მიმართვა არ ხდება.

(1) სილიკონის ველის მოდელი

სილიკონის ველი საინფორმაციო ტექნოლოგიური რევოლუციის დაბადების ადგილია და დღემდე რჩება, სწორედ საინფორმაციო ტექნოლოგიებით ნაკარნახევი ეკონომიკური განვითარების მოდელად. არსებობს მთელი ხნის მანძილზე ინოვაციური და ტექნოლოგიური პროგრესის ჩემპიონია და მისი რეკორდული მაჩვენებლები ათწლეულების მანძილზე ბევრი კვლევისა თუ მოდელირების მიზეზი გახდა.

სილიკონის ველის მოდელი ძირითადად გამოიყენება ამერიკაში. იგი ტექნოლოგიურად და ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე დინამიური მოდელია, თუმცა მისი სოციალური ფასი უკიდურესად მაღალია. სილიკონის ველის ეკონომიკაში თითქმის არ არსებობს კოლექტიური სოციალური პასუხისმგებლობა, საჯარო ფული არ არსებობს ადამიანის ძირითადი საჭიროებების განვითარებისთვის, თითქმის არ არის საჯარო სკოლები და სხვა საჯარო, ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი სოციალური სერვისები ან ინფრასტრუქტურა, ის „სუსტის ჩამოტოვების“ პრინციპს ეფუძნება და თავისი შინაარსით ელიტისტურია. სან-ფრანცისკოს ყურის სწორედ ეს ტერიტორია მსოფლიოს ერთ ერთ ყველაზე მკირად ღირებული წერტილია როგორც საცხოვრებლის, ასევე განათლების და მომსახურების ნებისმიერი სფეროში მუდმივად მზარდი ფასებით. აქ მხოლოდ ისინი ცხოვრობენ ვისაც განსაკუთრებული შესაძლებლობები აქვთ, ყველა დანარჩენი მარგინალიზებულია.

(2) სინგაპურის მოდელი

იგი ძირითადად აზიის ქვეყნებში მოქმედებს და არსებითად სახელმწიფოს მიერ იმართება. მისი ძირითადი ამოცანაა მულტინაციონალური კომპანიების რეგიონში მოზიდვა. სინგაპურის მოდელი ასევე პოპულარულია მსოფლიოს ისეთ წამყვან ეკონომიკებში, როგორიცაა ჩინეთი და ინდოეთი. ალბათ სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ დღევანდელი მდგომარეობით იგი ჩინეთსა და ინდოეთში უფრო მეტად მუშაობს, ვიდრე სინგაპურში, ვინაიდან მულტინაციონალური კომპანიები იაფი მუშა ხელის ბაზრებს ეძებენ, სინგაპური კი ასეთად უკვე აღარ ხასიათდება. შესაბამისად, იმისათვის რომ პატარა ქვეყნები გადარჩნენ, მნიშვნელოვანია საკუთარი ინოვაციური და შემოქმედებითი მიდგომები შესთავაზონ მსოფლიოს და არა მხოლოდ დაბალი გადასახადები, ან იაფი მუშახელი, ვინაიდან კონკურენცია ამ თვალსაზრისით სხვა დაბალშემოსავლიანი ქვეყნებიდან ძალზე მაღალია.

ორივე მოდელი თავისთავად ძალიან საინტერესო და ორიგინალურია და შესაწავლად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებისთვის არჩევანის გაკეთებისას, თუმცა ჩვენი

კვლევა უფრო მეტად მესამე, ევროპულ მოდელზე შემოგთავაზებთ ინფორმაციასა და მოსაზრებებს. ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს რომ გამოწვევების და შესაძლებლობების ძიების თვალსაზრისით არცერთი ეს მოდელი ძრეულად არ განსხვავდება ერთმანეთისგან.

(3) ფინური მოდელი

ფინური მოდელი საინფორმაციო საზოგადოებისა და სოციალური სახელმწიფოს კომბინირებული მოდელის განვითარების ევროპული შემოთავაზებაა. ამ მოდელის მიხედვით სოციალური სახელმწიფო მხოლოდ იმ შემთხვევაში გადარჩება თუკი მისი რეფორმირება მოხდება იმავე ტემპით, დინამიურობითა და მასშტაბური სიახლეების დანერგვით, როგორც საინფორმაციო საზოგადოება ვითარდება.

არსებობს მოსაზრება, რომ ამ მოდელის წარმატება მთლიანად პოლიტიკური კლასის გამბედაობასა და დრამატული ცვლილებებისათვის მზაობაზეა დამოკიდებული. ამგვარი მიდგომა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ბიზნესის როლის და განსაკუთრებით სოციალური პასუხისმგებლობის ნიველირება უნდა მოხდეს. თუმცა იმ პირობებში, როდესაც სტანდარტულად რუტინული სამუშაო ადგილებისთვის ე.წ. მესამე სამყაროს მუშახელის ბაზარზე უზარმაზარი კონკურენციაა (განსაკუთრებით აზიურ ბაზრებზე), სწორედ სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა ელასტიური და კონკრეტულ საქმიანობებზე მორგებული საგადასახადო და წახალისების პოლიტიკით დაამაგროს კომპანიები ქვეყანაში.

ტექნოლოგიური პროგრესის 30-50 წლიანი შედეგები და პროდუქტი პრაქტიკულად მათემატიკური სიზუსტით შეგვიძლია გამოვთვალოთ დღესვე. შესაბამისად, შევძლებთ გამოვკვეთოთ ის ბიზნესსეგმენტიც, რომელიც უფრო არსებითი და ფასეული იქნება შემდეგი ათწლეულებისთვის. შეგვიძლია მეტნაკლები სიზუსტით გავთვალოთ სად იქნება ადამიანის შრომა უალტერნატივო და სად მოხდება მისი თანდათანობითი ჩანაცვლება სხვადასხვა ტექნოლოგიური პროდუქტით. ამერიკელი თეორეტიკოსი რიჩარდ ფლორიდა, ერთ-ერთია იმ ავტორთაგან, რომლებიც თითქმის სამი ათეული წელია საინფორმაციო საზოგადოების ეკონომიკის გამოწვევებსა და შესაძლებლობებს იკვლევენ. ფლორიდა თავის წიგნში „შემოქმედებითი კლასის აღმასვლა“,³⁵ განვითარების ერთ-ერთ მოდელს გვთავაზობს „აღმასვლის გზაზე მდგარი კლასი, ეს არის პროფესიონალების ძალზედ ფართო წრე მკვლევარებიდან იურისტებამდე, მწერლები და ინჟინრები, მუსიკოსები და პროდიუსერები, მსახიობები, დიზაინერები, არქიტექტორები, ექიმები, მასწავლებლები, ანალიტიკოსები, სხვადასხვა რანგის მენეჯერები. ათასწლეულის მიჯნაზე ეს ადამიანები დასაქმებული ამერიკის ერთ მესამედს შეადგენდნენ და მათზე მოთხოვნილება სულ უფრო და უფრო მზარდია“ (Florida, 2002).

კიდევ ერთი ამერიკელი პროფესორი რობერტ რეიხი,³⁶ თავის ნაშრომებში სახელწიფოებს ურჩევს არ ჩაკეტონ ახალი ეკონომიკა მხოლოდ შემოქმედებითი პროფესიებით. მისი ხედვა რობერტ ფლორიდასთან შედარებით უფრო ფართოა და ანალიტიკური უნარების აუცილებლობით გამოწვეული დასაქმების პარალელურად,

35 იხილეთ, Richard Florida „The Rise of Creative Class“, Basic Books, 2002

36 იხილეთ, Robert Reich „Economics in Wonderland,, 2017, ან „Beyond Outrage: What Has Gone Wrong with Our Economy and Our Democracy, and How to Fix It“, 2012. ასევე მისი უფრო ადრეული ნაშრომი „The Future of Success: Working and Living in the New Economy“ 2000. რობერტ რეიხი, ამერიკის პრეზიდენტების ფორდის, კარტერის და ბილ კლინტონის ადმინისტრაციაში მსახურობდა, ასევე არჩეული პრეზიდენტ ბარაკ ობამას ეკონომიკის მრჩეველთა გუნდში. 1993-1997 წლებში მსახურობდა შრომის მდივნის პოსტზე.

„პერსონალურ მომსახურებაზე“ ან „პირად ურთიერთობებზე“ დამყარებულ არჩევანს გვთავაზობს. „პერსონალური მომსახურების აუცილებლობის შექმნა, უნდა დავინახოთ როგორც მომავლის შესაძლებლობა. პირად ურთიერთობებზე დაფუძნებული დასაქმება მეტი პროდუქტიულობის გარანტიაა, ემოციური კავშირი აუმჯობესებს პროდუქტის ხარისხს და შესაბამისად, წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობას დასაქმებისთვის, მათ შორის განათლების შედარებით დაბალ საფეხურზე მყოფი ადამიანებისთვის“ (Reich, 2000).

განვითარების ევროპული მოდელი გვთავაზობს, სწორედ ამ და სხვა მსგავს კვლევებსა და გათვლებზე დაყრდნობით განხორციელდეს, ერთი მხრივ, განათლებისა და, მეორე მხრივ, საგადასახადო პოლიტიკის ცვლილებები. სახელმწიფო პრაქტიკულად ახალი ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის ბიძგის მიმცემი უნდა იყოს, დანარჩენს ბიზნესი და ბაზარი თავად დაარეგულირებს.

სახელმწიფოებს, რომლებიც მოახერხებენ გრძელვადიან დაგეგმვასა და პოლიტიკის ფოკუსირებას სწორედ მომავალი 30-50 წლის მანძილზე მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების პრევენციაზე (განსაკუთრებით შრომის ბაზარზე), წარმატების მეტი შანსი აქვთ. მოლოდინისა და შედეგებზე რეაგირების რეჟიმში მყოფი ქვეყნების ეკონომიკას კი მეტი პრობლემა ელოდება, გარდაუვალი სოციალური კრიზისის თანხლებით.

საქართველო და საინფორმაციო საზოგადოების სტრუქტურული გამოწვევები

სახელმწიფოს როლი და ძირითადი მოთხოვნები

საინფორმაციო საზოგადოების წარმატებისთვის მთავრობის როლი განუზომელია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ქმედითი მხარდაჭერა და პოლიტიკური დღის წესრიგის ამოცანად ქცევა ე.წ. სამხრეთის ქვეყნებში. უმთავრესი მხარდაჭერა, რომელიც მთავრობამ უნდა აღმოუჩინოს მხარდ ბიზნესსექტორს, არის:

- ტექნოლოგიური ინოვაციების სტიმულირება,
- ღია ქსელების მხარდაჭერა,
- ქსელების სტაბილურობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა,
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა,
- საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარანტიების შექმნა არსებული ტექნოლოგიებისა და საინფორმაციო ქსელების საყოველთაო ხელმისაწვდომობისთვის,
- მოქნილი საგადასახადო პოლიტიკით მეტი ინვესტიციის მოზიდვის უზრუნველყოფა, ეკონომიკის სტიმულირების მექანიზმების შექმნა სოციალური კრიზისის პრევენციისთვის.

საქართველომ საინფორმაციო საზოგადოების განვითარების პოლიტიკის განაცხადი ფორმალურად გაეროს მსოფლიო საინფორმაციო საზოგადოების სამიტზე გააკეთა, საერთაშორისო ვალდებულებების ფარგლებში შესაბამისი საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი აქტების მიღებით. 2015 წლის გაეროს ნიუ-იორკის „+10“ სამიტის დოკუმენტებში საქართველოში მიღწეული პროგრესი დადებითად არის შეფასებული და ჩვენი წარმატებები და მიღწევები მრავალგზის აღინიშნა.³⁷

საკითხი კიდევ უფრო აქტუალური ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ გახდა და ახალი ვალდებულებებიც სწორედ ასოცირების დღის წესრიგით განისაზღვრა. ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, საქართველოს მიერ სწორედ საინფორმაციო საზოგადოების სფეროში თანამშრომლობის ეფექტური გზებისა და ფორმების ძიება, სამოქმედო გეგმის დადგენა და მისი შესრულება.³⁸

ასოცირების ხელშეკრულების 324-ე მუხლი (თანამშრომლობა საინფორმაციო საზოგადოების სფეროში) სრულფასოვნად აყალიბებს საინფორმაციო საზოგადოების დღის წესრიგს საქართველოსთვის: „მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ თანამშრომლობას საინფორმაციო საზოგადოების განვითარების კუთხით, რათა ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელებისა და ხელმისაწვდომ ფასად უკეთესი ხარისხის მომსახურების მიწოდების გზით სარგებლობა მოუტანონ მოქალაქეებსა და ბიზნესსექტორს“. ეს ასოცირების ხელშეკრულების მხოლოდ ერთი დებულებაა, თუმცა ნათლად მიგვანიშნებს საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების ხასიათს, მასშტაბსა და მნიშვნელობას:

37 სტატისტიკური ინფორმაციისთვის იხილეთ საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ვებ-რესურსების ანალიტიკური პორტალი, ბმულზე <https://analytics.gncc.ge>

38 საქართველოს-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება იხილეთ ბმულზე http://infocenter.gov.ge/uploads/files/2017-11/1511272286_annex_ii_-_eu-georgia_association_agenda_text.pdf

- ფართოდ გავრცელება;
- ხელმისაწვდომი ფასი;
- უკეთესი ხარისხის მომსახურება;
- სარგებელი მოქალაქეებისთვის;
- სარგებელი ბიზნეს სექტორისთვის.

ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების, უფრო მეტად კი ჩვენი ხვალისდელი დღის ამოცანების უზრუნველსაყოფად, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, სხვა ევროპული ქვეყნების მსგავსად, განვითარების ხედვა რამდენიმე ფუნდამენტური მიმართულების გარშემო ჩამოყალიბდეს. ქვემოთ ჩამოთვლილი სტრატეგიის დოკუმენტები არ არის ექსკლუზიური და შესაძლებელია ქვეყანამ დამატებით სხვა მიმართულებებზეც იმუშაოს, თუმცა წინამდებარე ექვსი გრძელვადიანი სტრატეგიული დოკუმენტის არსებობა აბსოლუტურად სავალდებულოა:

1. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების გეგმა და ფინანსური უზრუნველყოფა;
2. ეკონომიკური ხედვა;
3. შრომითი ბაზრის რეფორმირება;
4. ახალი საგანმანათლებლო პოლიტიკა;
5. კულტურული იდენტობის შენარჩუნების უზრუნველყოფა;
6. წარმომადგენლობითი დემოკრატიის გამოწვევებზე პასუხი.

სამწუხაროდ, საინფორმაციო საზოგადოების განვითარების პირველადი საჭიროებების პრობლემები (ქსელის მაღალტექნოლოგიური განვითარება, უხარვეზო ინტერნეტის მიწოდება, ტექნოლოგიებზე წვდომა, ხარისხი და ფასის ხელმისაწვდომობა და სხვა) საქართველოში ჯერ კიდევ იმდენად ბევრია, რომ ნაკლები ყურადღება ეთმობა მეორე ეტაპის ამოცანებს (სოციალური პრობლემები, შრომის გადანაწილება, სტიმულირების მექანიზმები, განათლების რეფორმა და სხვა). სწორედ ამის გამო არის მნიშვნელოვანი ზემოთ ჩამოთვლილი გრძელვადიანი პოლიტიკის დოკუმენტების მიღება, რომელიც, ერთი მხრივ, სახელმწიფოს მასტიმულირებელ ფორმატს შეიმუშავებს და, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს მაღალი კვალიფიკაციის, ინტელექტუალური და შემოქმედებითი შრომის ბაზრის განვითარებას, სადაც გადარჩენის უდაოდ მეტი შანსი აქვს საქართველოს მსგავს ქვეყანას. ამასთანავე, მსგავსი დოკუმენტების და ხედვის არსებობა, დაეხმარება როგორც ბიზნესს, ასევე კერძო პირებს შესაბამისად დაგეგმონ საკუთარი მომავალი.

რატომ „ციფრული საქართველო“?


ბუნებრივია, ძალიან ბევრი ფაქტორის ჩამოთვლა შეიძლება იმ სარგებლის აღსაწერად, რაც საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ მოუტანა კაცობრიობას და მათ შორის საქართველოს. ათეულობით ელექტრონული პლატფორმა, ათასობით ე-აპლიკაცია სწორედ იმისთვის იქმნება, რომ ჩვენი ყოველდღიურობა უფრო გამარტივდეს და ცხოვრება მეტად ხელმისაწვდომი გახდეს. ძალიან თამამ განცხადებად თუ არ ჩაგვეთვლება, ალბათ შეგვიძლია ისიც კი ვთქვათ, რომ სწორედ ამ პლატფორმების წყალობით ადამიანებს მეტი დრო რჩებათ საკუთარი თავისთვის, ოჯახისთვის, მეგობრებისთვის, ან უბრალოდ ბედნიერებისთვის. სწორედ მოსახლეობისთვის ამგვარი სარგებლის მიღებით არის შედგენილი პლატფორმა „ციფრული საქართველოს“ დოკუმენტიც,³⁹ რომელიც საქართველოს მთავრობის განაცხადია და საერთაშორისო პარტნიორებთან კოორდინაციითა და მათი უშუალო მონაწილეობით მომზადდა.

„ციფრული საქართველო: ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018“ საქართველოს მთავრობამ 2014 წელს დაამტკიცა. თავად დოკუმენტის მიხედვით, ეს უკანასკნელი „წარმოადგენს მნიშვნელოვან დოკუმენტს თანამედროვე საქართველოსთვის. მასშია მომწურავად არის განხილული ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით გამოწვეული საზოგადოებრივი ცვლილებები. ელექტრონული საქართველოს სტრატეგია არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ საქმიანობებით, რომლებსაც ელექტრონული მმართველობა გულისხმობს. მისი გაგება გაცილებით ფართოა და უკავშირდება ინოვაციურ სფეროებს, რათა შეიქმნას ხელსაყრელი გარემო ინოვაციებით დაინტერესებული ბიზნეს-სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის. მთავრობის როლს წარმოადგენს ინოვაციის სტიმულირება საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებში ეკონომიკური და მდგრადი ზრდის უზრუნველსაყოფად“. მიუხედავად ამ საკმაოდ ფართო და ამომწურავი განსაზღვრებისა, რომლითაც ავტორები დოკუმენტს ახასიათებენ, სინამდვილეში სტრატეგიის ამოცანა პირველ რიგში და უპირატესად საჯარო სექტორის ეფექტურობის უზრუნველყოფაა. ავტორების ამოცანა კარგად ჩანს სტრატეგიის განხორციელების პირობებში დასახული შედეგის აღწერისას: „საქართველოში შეიქმნება უფრო ეფექტური და ეფექტიანი საჯარო სექტორი, რომელიც მომხმარებელს შესთავაზებს ინტეგრირებულ, უსაფრთხო და მაღალი ხარისხის ელექტრონულ სერვისებს, მათ გაუმჯობესებულ გამოყენებას და მონაწილეობას ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ მდგრად ეკონომიკურ ზრდაში“. (ციფრული საქართველო, 2014, 2)

თავისთავად, საჯარო სექტორის როლისა და ეფექტურობის უზრუნველყოფა საინფორმაციო საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა და დოკუმენტიც ძალზედ ღირებული და საინტერესოა. მთავარი ხარვეზი, რომელიც დოკუმენტს დასაწყისშივე ახლდა, მისი აღსრულების მექანიზმების და სრული იმპლემენტაციისთვის საჭირო ფინანსური უზრუნველყოფის არ არსებობა იყო. შესაბამისად, 2018 წელს, რაც „ციფრული საქართველოს“ პროგრამის ბოლო წელია, უმრავლეს შემთხვევებში ჯერ კიდევ დოკუმენტში აღწერილ საწყის მდგომარეობაში ვიმყოფებით.


როგორც უკვე ითქვა, ციფრული დღის წესრიგის ამოცანა არა მხოლოდ საქართველოს ყველა მოქალაქის ინტერნეტიზაციის უზრუნველყოფა, არამედ უპირველესად მათი დახმარებაა იპოვონ საკუთარი გზა და გამოყენების ყველაზე ეფექტური ფორმები ინტერნეტის გარეშე.

39 იხილეთ, „Twinning: ციფრული საქართველო: ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018“ მიხედვით. ბმულზე http://www.dea.gov.ge/uploads/eGeorgia%20Strategy%20FINAL_GEO.pdf



კომპიუტერები, მობილური ტელეფონები და ინტერნეტთან წვდომის სხვა საშუალებები ჩვენი ყოველდღიურობის აბსოლუტურად აუცილებელ ატრიბუტებად იქცა. დღეს შესაძლებლობა გვაქვს მინიმალურ დროში გავცეთ პასუხი ასეულობით კითხვას და მხოლოდ მობილური ინტერნეტის გამოყენებით მოვაგვაროთ უამრავი საკითხი, დაწყებული საავტომობილო გზებზე უსაფრთხოების მდგომარეობით, საცობში ყოფნისას სასურველ რესტორანში სადილის წინასწარ შეკვეთით, გაგრძელებული ფინანსური ვალდებულებების გასტუმრებით, საგანმანათლებლო პროგრამებით სარგებლობით და სხვა. საქართველოში მობილური ინტერნეტის გამოყენების სიხშირე ჩვენი მოქალაქეების მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ, სწორედ ამგვარი მომსახურებით აქტიურ სარგებლობას გვიჩვენებს.

სწორედ ამიტომ, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნა, შესაბამისი აპლიკაციების დანიშნულებისამებრ გამოყენება და მოსახლეობის უმრავლესობის მიერ ამ სიკეთით კეთილდღეობის უფრო მაღალი ხარისხის მიღწევა, მხოლოდ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებით და აგრესიული განათლების რეფორმით არის შესაძლებელი.



ამიტომ მკითხველის ყურადღებას იმ ბევრ საკითხს შორის, რომელსაც „ციფრული საქართველოს“ პლატფორმა შეეხება, სწორედ საგანმანათლებლო სისტემაში დაგეგმილ და აუცილებლად გასატარებელ რეფორმებზე შევაჩერებთ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საჯარო სკოლებში ქსელში ჩართულ კომპიუტერულ ტექნიკაზე ხელმისაწვდომობა პრაქტიკულად ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია და ორი წლის მანძილზე (მე-5 და მე-6 კლასებში), სავალდებულოა გაკვეთილი სახელწოდებით „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“, რესურსების არსებობა არ არის საკმარისი პირობა, იმისთვის რომ საინფორმაციო საზოგადოების მოთხოვნები დაკმაყოფილებლად ჩავთვალოთ. საქართველოს სკოლებში კვლავაც პრობლემად რჩება ქართულ ენაზე საკმარისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (როგორც ფოტოზეც კარგად ჩანს, განათლების და მეცნიერების სამინისტროს ელექტრონული ბიბლიოთეკის გვერდი ბოლოს 2015 წელს განახლდა), პედაგოგების მომზადებისა და რეგულარული გადამზადების საკითხი, სწავლების სისტემურობა და სხვა თემები. თუმცა ყველაზე მთავარი პრობლემა მაინც საინფორმაციო საზოგადოების განათლების სტრატეგიის არარსებობაა, რომელიც პრობლემის გრძელვადიანი გადაწყვეტისთვის კონცეპტუალურ ხედვასა და სისტემურად გაწერილ გეგმას უნდა შეიცავდეს.

„ციფრული საქართველოს“ სტრატეგიის დოკუმენტში ძალიან სწორი მიდგომებია ჩამოყალიბებული ელექტრონული მმართველობის განვითარების და დანერგვისათვის, განათლების სისტემის მორგების შესახებ. კერძოდ, დოკუმენტში ვკითხულობთ: „ელექტრონული მმართველობის აპლიკაციების შექმნა ხდება ადამიანების მიერ სხვა ადამიანების დახმარების მიზნით, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს, ერთი მხრივ, ესაჭიროება მაღალკვალიფიციური სისტემის დეველოპერები, რომელთაც შეუძლიათ შეიმუშაონ, დაგეგმონ და განახორციელონ სტრატეგიაში აღწერილი აპლიკაციები. აღნიშნულის უზრუნველყოფა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ხდება სათანადო კურსებისა და დისციპლინების შემოთავაზება. მეორე მხრივ, მომხმარებლებს უნდა ჰქონდეთ შემოთავაზებული აპლიკაციებით სარგებლობისთვის საჭირო უნარ-ჩვევები. წარმატებული მოხმარების პირველ ნაბიჯს წარმოადგენს პოტენციურ მომხმარებელთა ცნობიერების ზრდა და მათთვის აღნიშნული სისტემით და აპლიკაციებით სარგებლობის დადებითი მხარეების ჩვენება. შედეგად, მომხმარებლებს უნდა შეეძლოთ აღნიშნული სისტემის გამოყენება. ამის მიღწევა შესაძლებელია ტრენინგების ჩატარებით ან სისტემისა და აპლიკაციების შესახებ განმარტებითი დოკუმენტების მიწოდებით. ახალი თაობა ადვილად სწავლობს აღნიშნული ტექნოლოგიების გამოყენებას. მთლიანობაში, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით თითქმის ყველა სექტორში უმჯობესდება მიმდინარე პროცესები. იგი მოდერნიზაციის ერთ-ერთ საყრდენს წარმოადგენს. საჭიროა ისეთი უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომლების დახმარებითაც ინფორმაციულ საზოგადოებაში ჩართვაა შესაძლებელი“ (ციფრული საქართველო, 2014, 147-148).

მიუხედავად იმისა, რომ მიდგომა ფუნდამენტურად სწორია, პრაქტიკამ და სტრატეგიის იმპლემენტაციის თითქმის 4-წლიანმა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ მხოლოდ სწორად ფორმულირებული მიზნები და ამოცანები არ არის საკმარისი შედეგის მისაღწევად, თუკი მსგავსი ხედვები ფინანსური რესურსებით და შემსრულებლების მხრიდან პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით არ არის გამაგრებული.

აღსრულების პრობლემების გარდა, დოკუმენტში კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტი არის გამოტოვებული. მათ შორის, მაგალითად, **ხანდაზმული მოსახლეობისათვის სპეციალური პროგრამების შეთავაზება**, რაც მათთვის ე-რესურსებზე წვდომას რეალობად აქცევს და შესაბამისად გაუადვილებს უკეთესი მომსახურების

მიღებას. მაშინ როცა ე-ჯანდაცვა ძალიან დიდი დოზით არის წარმოდგენილი დოკუმენტში, სახელმწიფო სერვისების პრაქტიკულად სრულად ინტერნეტიზაციასთან ერთად, ბუნებრივია, რომ მოსახლეობის უმრავლესობის, განსაკუთრებული პენსიონერების პროგრამაში გაუთვალისწინებლობა უბრალოდ არასწორია.

ე-რესურსების გაჩენის უმთავრესი უპირატესობა ყველა აქამდე არსებულ სისტემასთან შედარებით სწორედ ის არის, რომ ყველაზე უფრო წარმოდგენილი და მიუწვდომელი მომსახურება და პროდუქტები რიგითი მოქალაქეებისთვის ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო ჩვეულებრივი ამბავი ხდება. ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ჰარვარდის უნივერსიტეტის განათლება და დიპლომი სახლიდან გაუსვლელად, შესაბამისად ამერიკაში მგზავრობის, ცხოვრების და სხვა ლოგისტიკური ხარჯების დაზოგვით, სწორედ განათლების სხვადასხვა ე-პლატფორმების გამოყენებით.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ე-ჯანდაცვის კუთხითაც, სადაც „ციფრული საქართველოს“ დოკუმენტი ასევე მნიშვნელოვნად ნაკლები და შეუსაბამო განვითარების თანამედროვე ეტაპისთვის. ე-განათლების მსგავსად, ე-ჯანდაცვაც შესაძლებლობას ქმნის ყველაზე უფრო ძვირადღირებულ ჯანდაცვაც კი სულ უფრო და უფრო ხელმისაწვდომი გახდეს. ტელემედიცინის გაჩენამ მნიშვნელოვნად შეამცირა ექიმთან ვიზიტის და მასთან დაკავშირებული ხარჯები, ასევე სწორედ ე-ჯანდაცვის სხვადასხვა პლატფორმის გამოყენებით შესაძლებელია საკუთარი ჯანდაცვის დაგეგმვა და მართვა ექიმის ჩარევის გარეშე. ე-ჯანდაცვაში ინვესტიცია, დღეს ევროკომისიის უმნიშვნელოვანესი პიორიტეტია ერთადერთი მიზნით, რომ ევროკავშირის სულ უფრო მეტი მოქალაქისთვის გახდეს ჯანდაცვა ინსტიტუციურად და ფინანსურად ხელმისაწვდომი. ანალოგიურია მათი მიდგომა და მოთხოვნა ასოცირების პროცესში მყოფი სახელმწიფოების მიმართაც. სამწუხაროდ „ციფრული საქართველო“ ამ საკითხებზე არაფერს გვთავაზობს და მხოლოდ ზედაპირული აქტივობებით შემოიფარგლება.

სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით თვალში საცემია ხარვეზი, რომელიც „ციფრული საქართველოს“ პროგრამას აქვს: ეს ე-განათლების სისტემისადმი არასრულფასოვანი მიდგომაა. როგორც უკვე ითქვა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ასევე აშშ-ს, კანადის, ავსტრალიის და სხვა მრავალი ქვეყნის სულ უფრო და უფრო მეტი უნივერსიტეტი და პროგრამაა ხელმისაწვდომი ე.წ. ე-განათლების, ანუ ინტერნეტის გამოყენებით სრულყოფილი განათლების მისაღებად. დღეს, ევროპული განათლების და შესაბამისად, ევროკავშირში აკრედიტებული უნივერსიტეტის დიპლომის მიღება მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან სახლიდან გაუსვლელად არის შესაძლებელი და შესაბამისად, ფუნდამენტურად გაზრდილია იმ ადამიანების რიცხვი, ვინც აღნიშნული სიკეთით სისტემატურად და წარმატებით სარგებლობს მწირი ფინანსური რესურსების არსებობის პირობებშიც. „ციფრული საქართველო“ ამ საკითხზე დუმს, როგორც ქვეყნის შიგნით აღნიშნული შესაძლებლობის შექმნისა და წახალისების, ასევე საქართველოს მოქალაქეების მიერ მსგავსი სიკეთით სარგებლობის შესახებ, რაც ვფიქრობ დოკუმენტის მნიშვნელოვანი ხარვეზია.

იმავე განათლების სეგმენტის ე.წ. „სამიზნე მაჩვენებლების“ ქვეთავს თუ გავყვებით, სადაც წარმატების საზომად 7 პარამეტრი არის გამოყენებული,⁴⁰ კიდევ უფრო ნათელი გახდება სისტემის სისუსტეები და, შესაბამისად, ქვეყნის მზადყოფნის ხარისხი თანამედროვე გამოწვევებთან გასამკლავებლად. სამთავრობო პროგრამით, სასკოლო განათლებაში გასატარებელი რეფორმებიც რომ ჩავთვალოთ დამაკმაყოფილებლად, თავად ის ფაქტი, რომ მთელი რეფორმა მხოლოდ სკოლაში და სკოლის მასწავლებლებთან ჩასატარებელი ღონისძიებებით შემოიფარგლება, უკვე მიუთითებს მიდგომის არაეფექტურობას.

40 იხ. „ციფრული საქართველო“, 2014, გვ 154.

დასკვნა და რეკომენდაციები

სახელმწიფოს მიერ აუცილებლად განსახორციელებელი რეფორმებისა და ინიციატივების ამოცანები

ინოვაცია და განვითარება შეუძლებელია ჩავკეტოთ ერთ რომელიმე კონცეფციასა და ნუსხაში. შესაბამისად, ნებისმიერი ინიციატივა, რომელიც არც თუ ისე შორეული მომავლის საინფორმაციო საზოგადოების გამოწვევებთან გამკლავებას გაგვიადვილებს, მხოლოდ მისასალმებელია. თუმცა, საზოგადოების ბუნებრივი განვითარების პროცესის შესაბამისად, კონტექსტიდან გამომდინარე და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ვფიქრობ შესაძლებელია თანამედროვე სახელმწიფოს მიერ აუცილებლად განსახორციელებელი რეფორმებისა და ინიციატივების რეკომენდაციების მომზადება, რომელიც მეტნაკლებად უნივერსალურია და აბსოლუტურ მინიმუმს წარმოადგენს იმისთვის, რომ ქვეყანამ ფუნქციონირება განაგრძოს და სოციალური კოლაფსის წინაშე არ აღმოჩნდეს.

ჩემი რეკომენდაციები, როგორც უკვე ითქვა, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დეკლარირებული პრიორიტეტებისა და საქართველოში უკვე დანერგილი ინოვაციების გათვალისწინებით ფუნდამენტური პრობლემების მოგვარების მიზანს ემსახურება. წინამდებარე კვლევაში, სხვადასხვა საკითხის განხილვის დროს მკითხველს შეუძლია იხილოს კონკრეტული მოსაზრებები და რეკომენდაციები, რომელიც სასარგებლოა შესასრულებლად თანამედროვე გამოწვევებთან ეფექტური გამკლავების მიზნით. თუმცა, კვლევის დასასრულს, შევეცდები თავი მოვუყარო ძირითად მიგნებებს და ერთობლივად შემოგთავაზოთ.

დასაწყისშივე უნდა ითქვას, რომ „საინფორმაციო საზოგადოების“ განვითარების წარმატებული სახელმწიფო პოლიტიკა, ერთდროულად რამდენიმე კონკრეტულ ამოცანას უნდა ემსახურებოდეს:

- ფართოდ გავრცელება / წვდომა ყველასთვის;
- თავისუფალი საჯარო სივრცეების უზრუნველყოფა;
- ხელმისაწვდომი ფასი;
- უკეთესი ხარისხის მომსახურება;
- სარგებელი მოქალაქეებისთვის;
- სარგებელი ბიზნეს სექტორისთვის, მეტი სამუშაო ადგილის შესაქმნელად;
- ერთიანი კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა, როგორც გამჭოლი პრინციპი წარმატების უზრუნველყოფისთვის.

პოლიტიკის სავალდებულო დოკუმენტები

სხვადასხვა ავტორის ნაშრომების შეჯერების შედეგად შეგვიძლია თამამად ვისაუბროთ გლობალურ ტენდენციებზე, რომელიც დღესვე უკვე სახეზეა, თუმცა შემდეგი 10-15 წლის მანძილზე კიდევ უფრო ხელშესახები გახდება (Castells 2000, 2004; Himanen 2001, 2004b; Castells and Himanen 2002). როგორც წინამდებარე ნაშრომში არაერთხელ აღინიშნა, თანამედროვე გამოწვევების პირობებში გადარჩენის და წარმატებული განვითარების შანსი იმ სახელმწიფოებს აქვთ, რომლებიც გარდაუვალი რეალობის წინასწარ განჭვრეტასა და დაგეგმვას ახდენენ.

სწორედ ამიტომ, პრინციპულად მნიშვნელოვანია საქართველოს პოლიტიკური კლასის დღის წესრიგის დღევანდელ ამოცანებად იქცეს სტრატეგიული მიდგომების შემუშავება სწორედ ამგვარი გლობალური ტენდენციებისადმი. ეს მიდგომები შესაბამის პოლიტიკაში უნდა აისახოს და ქვეყნის სამოქმედო გეგმების, მათ შორის გრძელვადიანი საბიუჯეტო დაგეგმვის ნაწილი უნდა გახდეს:

- საინფორმაციო ტექნოლოგიების საყოველთაოობის უზრუნველყოფა;
- წარმომადგენლობითი დემოკრატიის გამოწვევების კვლევა და ახალი ფორმების დანერგვა;
- შრომის ახალი დანაწილება და შრომის ბაზრის რეფორმა;
- მზარდი გლობალური კონკურენცია საგადასახადო პოლიტიკის მართვაში;
- განათლების პოლიტიკის ფუნდამენტური ცვლილება და რეფორმები ახალი ეკონომიკის გამოწვევების საპასუხოდ;
- კულტურული ინდუსტრიის გაძლიერება;
- ბიოინდუსტრიის გაძლიერება;
- კიბერუსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკა.

ეს ის საკითხებია, რომელზეც „ციფრული საქართველოს“ პლატფორმა პრინციპში არაფერს ამბობს, არადა ყველაზე მნიშვნელოვან და წამყვან თემებად არის მიჩნეული მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა მკვლევარისა თუ ევროპული სახელმწიფოების ციფრული პლატფორმების სამთავრობო პროგრამებით.

მაგალითად, იმავე შრომის ბაზრის შესახებ, დოკუმენტში მხოლოდ ერთი ფრაზა გვხვდება და ისიც როგორც გადამისამართება პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიაზე („არსებობს პროფესიული განათლების რეფორმის 2013-2020 წლების სტრატეგია, რომელშიც გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განახლება და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.“).

კონსტიტუცია და კონსტიტუციური წესრიგი

2017 წელს ქვეყნის ძირითადი კანონის მე-17 მუხლში „ინტერნეტზე წვდომა“ ადამიანის უფლებად გამოცხადდა. ის ფაქტი, რომ „ინტერნეტზე წვდომისა და სარგებლობის“ უფლება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მუხლის ნაწილი გახდა დაბნეულობას იწვევს, ვინაიდან ამ ორ (1) სიტყვის თავისუფლებასა და (2) ინტერნეტზე წვდომის უფლებათა საწყისს შორის ფილოსოფიური განსხვავებაა. თუკი სიტყვის თავისუფლება ადამიანის ბუნებითი უფლებების ნაწილია და ე.წ. ნეგატიურ უფლებათა ჯგუფს განეკუთვნება, „ინტერნეტზე წვდომის“ უფლებას ასეთად ვერ განვიხილავთ. ნეგატიური უფლებების კონსტიტუციური გარანტიები ნიშნავს, მხოლოდ იმას რომ მესამე პირების ჩარევა, დახმარება, წახალისება არ არის მოთხოვნილი ან სავალდებულო (Berlin, 1958)⁴¹.

41 ბრიტანელმა ლიბერალური სკოლის წარმომადგენელმა ფილოსოფოსმა ისაია ბერლინმა 1958 წელს ოქსფორდში წაიკითხა ლექცია „თავისუფლების ორი კონცეფცია“, რომელიც შემდეგ მრავალჯერ გამოიცა თავად ოქსფორდის უნივერსიტეტისა და სხვა გამომცემლობების მიერ. ფილოსოფოსმა ნეგატიური თავისუფლების ჰობსისეული კონცეფცია განმარტა და გააფართოვა და ასევე პოზიტიური თავისუფლების იდეა შემოგვთავაზა. ისაია ბერლინის ლექცია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <http://faculty.umb.edu/steven.levine/courses/Fall%202015/What%20is%20Freedom%20Writings/Berlin.pdf>

ნეგატიური უფლებებით სარგებლობა ეს არის ადამიანის თავისუფლება საკუთარი ნებისა და შეხედულებების შესაბამისად ისარგებლოს ბუნებით მინიჭებული თავისუფლებით გარე მოთამაშეების ჩარევისა და დახმარების გარეშე. სიცოცხლის უფლება, სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება, რწმენის თავისუფლება, ხელშეუხებლობის უფლება და სხვა სწორედ ამ კატეგორიას განეკუთვნება.

პრინციპულად განსხვავებულია ე.წ. „პოზიტიური თავისუფლების“ კატეგორიას მიკუთვნებული უფლებების შემადგენელი. პოზიტიური თავისუფლებით სარგებლობისთვის ადამიანს დახმარება, ხელშეწყობა, წახალისება სჭირდება. კონსტიტუციური კანონით ან სახელმწიფოს მიერ დადგენილი სხვა წესებით რეგულირდება სახელმწიფოს თანამონაწილეობის ხარისხი და ფორმები ამა თუ იმ უფლებით სარგებლობისთვის შესაბამისი პირობების შესაქმნელად, იმ მიზნით, რომ ადამიანმა უკვე საკუთარი შეხედულებების შესაბამისად ავტონომიურად იმოქმედოს.

„ინტერნეტით სარგებლობის“ უფლება თავისი არსით ვერ იქნება ადამიანის ნეგატიური უფლებების შემადგენელი. ინტერნეტი ტექნოლოგიური პროგრესის შედეგია. შესაბამისად, ამ სიკეთით სარგებლობისთვის სავალდებულოა არსებობდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, წვდომის ტექნიკური საშუალებები, გამართული ქსელები, კონკურენცია უკეთესი პირობებისთვის, ადამიანებს ჰქონდეთ ტექნიკური მოწყობილობები და სხვა.

იმისათვის, რომ საქართველოს კონსტიტუციაში განცხადებული უფლებით მოქალაქეებმა ისარგებლონ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების სია საკმაოდ გრძელია, დაწყებული ქსელების გამართვისთვის საჭირო არხებისა და ინფრასტრუქტურის შექმნიდან, დასრულებული კონკურენტურიანი ბიზნეს გარემოს უზრუნველყოფით.

ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს, რომ კონსტიტუციის ადამიანის უფლებების თავი ერთიანი დოკუმენტია, და არც ერთი მასში დეკლარირებული უფლება ერთმანეთს არ გამორიცხავს ან უარყოფს. შესაბამისად, ნებისმიერი უფლებით სარგებლობის ჩარჩოებისა თუ რეგულირებების დადგენისას უნდა გვახსოვდეს, რომ, მაგალითად, დისკრიმინაციის დაუშვებლობის ვალდებულება სახელმწიფოს მუდმივი ვალდებულებაა ნებისმიერი საკანონმდებლო ჩარჩოს ფორმირების პროცესში.

უფრო ადვილად გასაგები რომ იყოს, მაგალითად კონსტიტუციით აღიარებული განათლების უფლება ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვალდებულია ქვეყანა საჯარო სკოლებით უზრუნველყოს. საჯარო სკოლები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა შესაბამისი ასაკის ახალგაზრდისთვის თანაბრად და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. უფლებით სარგებლობის შესაძლებლობის შექმნა სახელმწიფოს ვალდებულებაა.

ყოველი მოქალაქე ავტონომიურად თავად წყვეტს, ისარგებლებს სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სიკეთით, თუ გამოიყენებს ალტერნატიულ საშუალებებს. მაგ.: ამ შემთხვევაში შვილებს კერძო სკოლას ანდობს განათლების მისაღებად და ა. შ.

აბსოლუტურად იდენტური უნდა იყოს სახელმწიფოს დამოკიდებულება ინტერნეტზე წვდომის უფლების მიმართ. ეს უკანასკნელი, ერთმნიშვნელოვნად ადამიანის პოზიტიური უფლებაა და შესაბამისად სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ნაწილი. იმის მიუხედავად, თუ რომელ მუხლში ჩაწერეთ ამა თუ იმ უფლებას, ეს არ ათავისუფლებს სახელმწიფოს ვალდებულებებისგან. შესაბამისად, ზემოთ მითითებული ძირითადი პრინციპები ქვეყნისთვის, შესასრულებლად უკვე კონსტიტუციურად სავალდებულოა:

- ფართოდ გავრცელება / წვდომა ყველასთვის;
- თავისუფალი საჯარო სივრცეების უზრუნველყოფა;
- ხელმისაწვდომი ფასი.

ახალი საგადასახადო პოლიტიკა, როგორც პროაქტიული მიდგომის მაგალითი

ნებისმიერი სახელმწიფოსთვის საგადასახადო პოლიტიკის მთავარი ამოცანა დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა, მეწარმეობისა და შემოქმედებითი ეკონომიკის განვითარების წახალისება უნდა იყოს, ეს კი მოდერნიზებული საგადასახადო სისტემის გარეშე შეუძლებელია. შესაბამისად, სახელმწიფოები სულ უფრო მეტად იყენებენ შესაძლებლობას მიმზიდველი საგადასახადო პოლიტიკით (კლებადი საგადასახადო ტვირთი) დააინტერესონ მეტი ინვესტიცია და მაღალი კლასის მუშახელი.

მაგალითად, სახელმწიფომ შესაძლებელია შემოგვთავაზოს იმგვარი საგადასახადო სისტემა, სადაც შესაბამისი ფორმულებისა და სისტემების გამოყენებით, კომპანიებს, რომლებიც ცოცხალ მუშახელს ეყრდნობიან, ნაკლები გადასახადების გადახდა მოუწევთ, ვიდრე იმათ, ვისაც საქმიანობა სრულად ავტომატიზირებული აქვთ.

საგადასახადო პოლიტიკაზე გადაწყვეტილების მიღებისას, ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც უნდა გვახსოვდეს ის არის, რომ სახელმწიფოში მოსახლეობის **კეთილდღეობის სისტემა დაფუძნებულია გადასახადებზე, რომელიც წარმოების შედეგად წარმოიშობა და არა საგადასახადო ტარიფზე.**

საგადასახადო შემოსავლები იქმნება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსახლეობა დასაქმებულია და აქტიური საწარმოო პროცესი არსებობს.

ბუნებრივია, ცალკე აღებული მხოლოდ ერთი ფორმულით ყველა პრობლემის მოგვარება შეუძლებელია, თუმცა მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა სამუშაო ადგილების შენარჩუნების წახალისებისა და იმავდროულად მზარდი სოციალური ხარჯების დაფარვის გზების ძიებისთვის აბსოლუტურად აუცილებელია.

კულტურა და ბიოინდუსტრია – ახალი ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი

საინფორმაციო საზოგადოების ეკონომიკა განსაკუთრებულად პერსპექტიულად გამოიყურება იქ, სადაც შექმნილი პროდუქტი გემოვნების, ადამიანის ხასიათისა ან შემოქმედებითობის ნიშნებს ატარებს და სულ უფრო ნაკლებად, სადაც ფიზიკური სიძლიერე ან გამძლეობა არის გადამწყვეტი, ან უკეთესი პროდუქტი მეტი დროის დახარჯვით იქმნება. ამ უკანასკნელ ფუნქციას უკვე დღეს ჩვენზე უკეთ მანქანები ასრულებენ და მომავალში რობოტები კიდევ უფრო მეტი წარმატებით შეძლებენ.

შესაბამისად, ევროკავშირის ბევრ სახელმწიფოში, და არა მხოლოდ, სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა კულტურის, მუსიკის, კინო, ვიდეოთამაშების, ლიტერატურის, დიზაინის, კვებისა და სხვა მსგავსი ინდუსტრიების განვითარებას. ადამიანების დასაქმების, მუშახელის მობილიზებისა და იმავდროულად მეტი შემოსავლის მიღების პოტენციური სწორედ ამ დარგებში ყველაზე უფრო პერსპექტიულია და დღევანდელი გადასახედიდან ადამიანის როლი ჯერ კიდევ შეუცვლელი.

ასევე მზარდი ტენდენციით ხასიათდება ბიოინდუსტრიის განვითარება.

გენური ინჟინერია საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად არცთუ ისე შორეული მომავლის უმთავრესი შემადგენელი ხდება. მედიცინა, დიზაინი, პარფიუმერია, კულინარია და ბევრი სხვა დარგი სულ უფრო დამოკიდებული ხდება

სწორედ ბიოტექნოლოგიების პროგრესზე.

შესაბამისად, სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმირება ახალი გამოწვევების საპასუხოდ. უპირველესი ნაბიჯები რომელიც უნდა გადაიდგას, არის:

- განათლების პოლიტიკის რეფორმა;
- კვლევებისა და მეცნიერების დაფინანსება ახალი ეკონომიკისთვის;
- ბიზნეს მოდელების განვითარებისა და მარკეტინგის სფეროში თანაინვესტირება;
- დღეს დომინანტი პროფესიებისა და სამუშაო ადგილებისთვის ახალი რეალობის შესაბამისი დინამიკის მიცემა აგრესიული საგანმანათლებლო პროგრამებით.

შემოქმედებითი ეკონომიკა

ბევრი ავტორის მიერ (Howkins 2001, Florida 2002), მომავლის ეკონომიკად სწორედ ე. წ. „შემოქმედებითი ეკონომიკა“ სახელდება. ამ უკანასკნელის მაგისტრალური ხაზი კი საინფორმაციო ტექნოლოგიების, კულტურისა და კეთილდღეობის მზარდ ბიზნესზე გადის. კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობები ჩნდება, როდესაც საინფორმაციო ტექნოლოგიები გამოიყენება კულტურისა და კეთილდღეობის ბიზნესის წარმატებისთვის.

გლობალური კონკურენციის პირობებში, წარმატებისთვის სულ უფრო და უფრო გადამწყვეტი ხდება სახელმწიფოს როლი. მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ ლატვიის გამოცდილება. ლატვიის საინფორმაციო კომუნიკაციების ასოციაციის 2012 წლის ანგარიშის მიხედვით, ლატვიის მთავრობის ამოცანა ფორმულირებული იყო შემდეგნაირად: „საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, რაც თავისთავად ეხმარება ლატვიურ ბიზნესს გახდეს უფრო კონკურენტუნარიანი, უზრუნველყოს მეტი ეკონომიკური წინსვლა და ადგილობრივი პროდუქტის ექსპორტი.“

სწორედ ამ ამოცანის შესასრულებლად ლატვიის მთავრობა სტრატეგიულ პოლიტიკას რამდენიმე მიმართულებით ანხორციელებს:

- საგადასახადო შეღავათების დადგენა ბიზნესისთვის, რომელიც საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებაში ახდენს ინვესტირებას;
- სტარტაპების დაფინანსება, რომელიც ინოვაციური და საინფორმაციო ტექნოლოგიებზე ორიენტირებული სამუშაო ადგილების შექმნას უწყობს ხელს;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლებისა და უნარების ზრდის ტრენინგების დაფინანსება მიკრო და მცირე საწარმოებისთვის.

ლატვიის მაგალითზე, ვფიქრობ, კარგად ჩანს საინფორმაციო საზოგადოების გამოწვევებისადმი სახელმწიფოს პასუხის ფორმები, რომელზეც კვლევის განმავლობაში გვექონდა საუბარი და შესაძლოა საქართველოში შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების შექმნისთვის ერთგვარ გზამკვლევად გამოდგეს.

დანართი 1.

“საინფორმაციო საზოგადოების“ ძირითადი მკვლევარები , თეორიები და მნიშვნელოვანი ლიტერატურა

თეორიის ძირითადი მახასიათებლები	განვითარების შედეგები	ავტორი / შრომა
Technological innovations First phase (1960s): micro- electronics, miniaturisation, robotics Second phase (1990s-): digital revolution, space & biotech. , artificial intelligence and nanotech. (and the convergence of all the above) Moore’s Law, Digital Revolution, and the expansion of the Internet.	Techno-deterministic utopias or dystopias (T.-enthusiasm/optimism or T.-phobia/pessimism) Tidal waves of technological development. Being global, prime, equal, and ‘unterritorial’...	(Futurologists:) Toffler (1972; 1980), Naisbitt (1984), Pearson (1998; 2005) Negroponte (1996, 1998)
Speed technologies	Dromological societies, deterritorialisation	Virilio (1977)
The volume of technological innovation, the scale of its diffusion in social-economic activities.	The third „tidal wave“. ‘Creative destruction’ (Schumpeter) and Kondratiev’s long waves of economic development.	Neo-Schumpeterian school Great Britain Also some political documents: e.g. Charter on Global Information Society – G8 Summer 2000 Meeting)
‘Information public utility’ infrastructure.	Informational communism I.S. as post-industrial society	Masuda (1980)
The weight and growth of primary and secondary ‘information industries’; knowledge-production workers.	Information-based economy	Machlup (1960s) Porat (1977)
The rise of the service sector, the white-collar jobs.	Post-industrial society. Consumerism.	Bell (1973)
Know-how as raw material	Weightless society, new capitalism; ‘living on thin air’. Inequality as an acute feature of modern societies.	Leadbeater (1999, 2000)
„Symbolic analysts“ Restructuring,	A new post-Fordism. Space of	Reich (1991)

globalisation, fluidity of capital and production, vertical disintegration of corporations.	flows.	Castells (1998/2000)
Network logic, flexibility. A new and powerful elite. A split between the Net and the Self	Informational capitalism and its black holes. Network society. Digital divide. ...Fourth World	Castells (1998/2000)
Death of the sign, more and more information and less and less meaning	A post-modern world dominated by signs, hyper-reality, an age of spectacle	Baudrillard (1983)
Information flows, spatial logic of electronic information networks, capital 'travelling light'. Flexibility, short-term mentality, uncertainty vs. security.	The devaluation of space in certain spheres of life. Liquid modernity.	Bauman (2001)
Abundant information, scarcity of time and attention/reflection. New principles in the legitimization of knowledge in society. Search for anomalies and paradoxes.	'Performativity' and 'paralogy' as legitimating principles in the postmodern condition. Little narratives as opposed to meta-narratives.	Lyotard (1984)
The explosion of symbols, rising virtuality.	Economies of signs and space, consumer capitalism. Media-laden society.	Lash and Urry (1994) Urry (2002) Webster (2002)
Economic globalization, fast information flows through ICT networks, accelerated pace of consumption. Increasing differentiation, pluralism along with homogenization and unification.	Time-space compression. Disruptive spatiality and the postmodern condition.	Harvey (1989)
The changes in the Habermasian public sphere – media, Internet, citizen participation. Individualization of social inequality. The fluidity of interaction, sharing competence; new mass-behaviours, social rituals; stress from interaction overload...	Cyberdemocracy, electronic democracy. Radicalised modernity Reflexive modernisation and surveillance. Late modernity. Risk society. Interaction Society.	Poster (1995), Friedland (1996) Giddens (1990) Beck (1986), Graham (2001) Webster (2002) Wiberg (2004)

დანართი 2.

ქენევის WSIS 2003 წლის სამიტის (საქართველოს ოფიციალურად აღებული აქვს ვალდებულები) დეკლარაციის ძირითადი მოთხოვნები:

- საინფორმაციო ტექნოლოგიური კომუნიკაციის საჯაროდ ხელმისაწვდომი ადგილების უზრუნველყოფა;
- სხვადასხვა ტექნოლოგიური მოდულის გამოყენება (უფასო, ღია წყაროები და ა.შ) ყველასთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნის გავრცელება და სპეციალური პროგრამებით უზრუნველყოფა;
- სპეციალური საჭიროებების სოციალური ჯგუფების ინტეგრირება;
- კიბერუსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების უზრუნველყოფა და შესაბამისი ცოდნის გავრცელება;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების გავრცელებისთვის, მოსახლეობის ინტერესებზე ორიენტირებული გამჭვირვალე, ტექნოლოგიურად ნეიტრალური და განჭვრეტადი სახელმწიფო პოლიტიკისა და მარეგულირებელი კანონმდებლობის მიღება;
- სახელმწიფოს ჩარევა დაბალი გავრცელების რეგიონალურ/სასოფლო ზონებში ინტერნეტის უზრუნველყოფისთვის;
- მცირე და საშუალო ზომის წარმოების მხარდაჭერა საინფორმაციო ტექნოლოგიური საშუალებების აქტიური გამოყენებისთვის;
- ინტელექტუალური საკუთრების დაცვა;
- ადგილობრივი მიმწოდებლების წახალისება ადგილობრივი მოთხოვნებისა და შესაძლებლობების შესაბამისი ინტერნეტმომსახურების მიწოდების მიზნით;
- ადგილობრივი და რეგიონალური ენებისა და კულტურის სპეციფიკის გათვალისწინებით ციფრული ინფორმაციის შექმნის წახალისება;
- მედიის დამოუკიდებლობის და პლურალიზმის უზრუნველყოფა;
- ციფრული სოლიდარობის ფონდის შექმნა.

Abstract

The objective of the current study is to provide audience with knowledge and information about development of an Information Society (IS); challenges that global political agenda is concerned with; new social dynamics created by growing Information Technologies; risks of the next 30-50 years associated with even more rising IS; international discussion of various academic or political format, both on bilateral and multilateral level, best practices of various countries both in the north and south, etc.

Simultaneously, we try to observe and evaluate globally debated risks and opportunities from Georgia's perspective. Ambition of this paper is to:

- Contribute to the development of the Information Society in Georgia, in the most appropriate way and with the most suitable model;
- Observe and monitor fulfillment of the Georgia-EU Association agreement commitments by the government of Georgia.

Concurrently, it is to be underlined that current paper is not a policy document for the Information Society Development in Georgia. It is familiarizing us with the duties and obligations under the Association Agreement, as well as new rights gained by the citizens of Georgia through historical narrative, describing global tendencies and analyzing context of Georgia.

Paper is also suggesting necessary and important recommendations for better practices and use of instruments available to the country.



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
თბილისი, დელისის I შესახვევი 5ა
ტელ.: 2399018/19

This research has been produced with the assistance of the European Union.
Its contents are the sole responsibility of Center for Strategic Research and Development
of Georgia (CSR DG) and do not necessarily reflect the views of the European Union.

ეს კვლევა შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ
კვლევის შინაარსი აუცილებლად ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.
მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი.“

